



აფხაზთა

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო, #48, ნოემბერი, 2019 წელი



ფღვის სუნი და თოლიების ხმა მოაქვს ქარს. მოაქვს და მერე ისევ ფღვისკენ აბრუნებს. უცნაურად ბუნდოვანია ყველაფერი, არადა - ისეთი მშობლიური...

ეკატერინე ფირცხალავა: "ქართულ-აფხაზური ურთიერთობების შემთხვევაში, ვითარებას ართულებს ის, რომ მხოლოდ ორი ეთნოსი არ არის ჩართული, გარე, როგორც ფსიქოლოგები ვეძახით, მაჭუჭყიანებელი ცვლადი – რუსეთის სახით, უარყოფით ზეგავლენას ახდენს".

გვ. 5



ნატო კორსანტია: "ათასმა ქარმა თუ ქარიშხალმა გადაიარა ჩემი და ჩემი სახლის თავზე. კარგა ხანია, აღარ არიან ჩემი სახლის შეუსვლელი მეციხოვნენი - ჩემი დედ-მამა. მათი გარდაცვალების შემდეგ ერთხანს სახლის კუთხე-კუნჭულში თითქოს კიდევ იყო შემორჩენილი მათი სითბო და ეს იქ ყოფნას მიაღვილებდა"...

გვ. 11



გელა ჩქვანავა: "ქუჩაზე ჩამწკრივებულ კერძო სახლებში სხვადასხვა ენაზე საუბრობდნენ, მაგრამ ერთად შეკრებილებს ბევრი ჰქონდათ საერთო - ენაც, საფიქრალ-სადარდებელიცა და სამადლობელიც."

გვ. 9

ქეთევან სიხალაშვილი:
"საქართველოს ყველაზე დიდი რესურსი არის ადამიანური რესურსი და ეს უნდა იქცეს კაპიტალად. ჩვენი ეკონომიკის, კეთილდღეობისა და მშვიდობისთვის მთავარი ინვესტიცია ინტელექტში, განათლებაში და ახალგაზრდებში უნდა ჩაიდოს".

გვ. 3

რუსლან აბაშიძე:
"ჩვენ მომავალ თაობას თვითრეალიზების პირობები უნდა შევუქმნათ და ასაფრენი ბილიკი ავუშენოთ. მე ახალგაზრდებში ვხედავ ძალას, რომელიც ბარიერებზე და მავთულხლართებზე ძლიერია".

გვ. 3

როლანდ ნიშარაძე:
"აფხაზური საკმაოდ რთული ენაა და ამ ენის სპეციალისტები გადამზადებას საჭიროებენ. ჩვენმა სამინისტრომ ამზადებ იზრუნა და მოწვეული სპეციალისტების დახმარებით აფხაზური ენის პედაგოგებს გადამზადების ტრენინგებს ვუტარებთ".

გვ. 4

ნეო ბაბალია:
"ახალგაზრდებმა უნდა აიღონ ინიციატივა და შექმნან ახალგაზრდული ორგანიზაციები. თუ ნდობის აღდგენასა და ხიდგაკეთების დაძლევაზე ვიმუშავებთ, მაშინ პრობლემის მოგვარებაზე საუბარიც გაიოლდება..."

გვ. 10

2019 წლის 6 ნოემბერს სტრასბურგში, ევროპის საბჭოს სასახლეში, აფხაზეთის გურამ ყურაშვილის სახელობის სახელმწიფო საგუნდო კაპელამ და ჯგუფმა **The Georgian Six** დემოკრატიის მერვე მსოფლიო ფორუმი საზეიმოდ გახსნეს.

გვ. 6

მარინე თურავა:
"ჩემი კრებულის ერთ-ერთი ბოლო ლექსი აფხაზ მეზობელს ეძღვნება. მგონია, რომ იგივე სათქმელი აქვთ მათაც, რომ ჩვენ ერთად უნდა გადავრჩეთ და ვიცხოვროთ, ყოველგვარი მესამე ძალის გარეშე".

გვ. 9

პროგრამაში - „არქეოლოგია ყველასათვის“ დავნილი მოსწავლეების ჩაბნენ

სტუდენტური გამონაგონის პასუხად!

„გზავნილი აფხაზეთიდან“! - ასე ჰქვია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტების მიმართულებით...

მადლობა ამ ყველაფრისთვის ჯგუფის ხელმძღვანელს, ასოცირებულ პროფესორს მანა ტორაძეს, თითოეულ სტუდენტს, ყველა იმ ადამიანს, ვინც მის შექმნაში მონაწილეობდა ან თუნდაც ცოტათი წააშველა მას ხელი...

დღეს სწორედ ვამბობთ, რომ აფხაზეთის პრობლემა თანდათან გაფერმკრთალდა და აფხაზეთს კიდევ უფრო დაეშორებით... ეს საყვედური ეკუთვნის საზოგადოების ყველა ფენას და მათ შორის განსაკუთრებით, ქართულ მასმედიაში, რომლის აქტიურობაზეც დიდწილად დამოკიდებული ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი ამა თუ იმ პრობლემის სიმძაფრე...

სენსაციას გამოიკვებულ ქართულ მასმედიაში აფხაზეთი ფრაგმენტულად გაიფიქრებდა, არაერთი თანმიმდევრული პრობლემა და პრობლემის სიღრმისეული გააზრება, რაც სექსპტიციზმს კიდევ უფრო აღრმავებს.

...და ამ დროს, როგორც მკვამ მოქუფრულ ცაზე, ისე მოულოდნელად გამოანათა ჟურნალმა „გზავნილი აფხაზეთიდან“ ბევრისთვის მივიწყებული „აფხაზეთის ცაზე“.

ემოციიდან დაწყებული, პოლიტიკით დამთავრებული, - ჟურნალში აფხაზეთი მრავალი ასპექტით არის წარმოდგენილი.

...და ჩნდება იმედი, რომ მოდის თაობა, რომელიც იწყებს აფხაზეთის, როგორც საქართველოს განუყოფელი ნაწილის მნიშვნელობის გაცნობიერებას... როგორც ახალგაზრდები თვითონაც ამბობენ, ენგურის ხიდან - საოკუპაციო ხაზთან მისულებმა სხვანაირად ახლობლურად „გადაიხედეს“ აფხაზეთში, აშკარად იგრძნეს, რომ თუ თბილისიდან ძალიან ეშორებოდით იქაურობა, სინამდვილეში აფხაზეთი თურმე სულ რაღაც „ხუთი წუთის“ სავალზე ყოფილა...

ეს განწყობა იგრძნობოდა, როცა ჟურნალის „გზავნილი აფხაზეთიდან“ რედაქტორი ილია მეგრელიძე, დიდი პასუხისმგებლობით წარადგინა მას. ამ დროს ერთი აზრიც გამიჩნდა, ეს ახალგაზრდები, როცა მასმედიაში მოვლენ, ისე არ მოიტყვევიან, როგორც თავად არ მოსწონთ და შეეცდებიან სამშობლოსგან მოკვეთილი აფხაზეთის ტკივილი სხვებსაც გადასდონ-მეთქი...

ახალგაზრდების ეს ნაბიჯი ადვილი როგორც ერთგვარი გამოწვევა უფროსი თაობის მიმართ... პირადად მე მივიღე ეს გამოწვევა და ის, რაც იქ გამოსვლისას ვთქვი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს სახელით, ჩვენ ერთად რეალობად ვაქციეთ: გაზეთ „ჩემი აფხაზეთის“ ეს ნომერი მთლიანად დავუთმეთ ჟურნალის „გზავნილი აფხაზეთიდან“ შემოქმედებით ჯგუფს იმ სათქმელის გასაგრძელებლად, რაც დარჩათ და ერთ ჟურნალში ვერ ჩაატყვე!

გაზეთ „ჩემი აფხაზეთის“ ჩვენს ერთობლივ პრეზენტაციაზე კი, ესტაფეტას რომელიმე სხვა უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტებს გადავცემთ და შევეცდებით, ასე ავიყოლიოთ სხვა მომავალი ჟურნალისტიკები... აფხაზეთი გავაცოცხლოთ, ჩვენს რეალობაში დავაბრუნოთ იმ რწმენით, რომ იმას, რასაც შენით არ დათმობ, ვერავინ წაგართმევს!..

ნათო კორსანთი რედაქტორი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ორგანიზებით, აფხაზეთიდან დევნილი კომპაქტურ ჩასახლებებში მცხოვრები და აფხაზეთის მე-2 და მე-3 საჯარო სკოლების მოსწავლეები საქართველოს ეროვნულ მუზეუმს ეწვივნენ. მოსწავლეებმა, გიდის თანხლებით, სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმში არქეოლოგიური, ნუმიზმატიკური და შუა საუკუნეების საგანძური, საქართველოს არქეოლოგიისა და ქვის ხანის საქართველოს დარბაზები და საქართველოს ოქროს ფონდი დაათვალიერეს; ხელოვნების მუზეუმში კი - გამოჩენილი ქართველი მხატვრების - ფიროსმანის, დავით კაკაბაძის, ლადო გუდიაშვილის მუდმივმოქმედი ექსპოზიციები.

შემდეგ კი, საქართველოს ეროვნული მუზეუმისა და აფხაზეთის ავტონომიური

რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს თანამშრომლობით, აფხაზეთის №3 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა საქართველოს ეროვნული მუზეუმის საგანმანათლებლო პროგრამის - „არქეოლოგია ყველასათვის“ ფარგლებში მცხეთის მიმდებარე არქეოლოგიური ბაზა, წილანის ღვთისმშობლის ტაძრის კომპლექსი და ძაღისის ნაქალაქები მოინახულეს. მოსწავლეებს არმაზის არქეოლოგიურ ბაზაზე ნივთების კონსერვაციისა და რესტავრაციის გაკვეთილები ჩაუტარდათ. მათ დაათვალიერეს ფონდები და ახლადშექმნილი სამეცნიერო ლაბორატორია. ბოლოს თავადვე აღადგინეს დაზიანებული ნივთები, რომლებიც საჩუქრად გადაეცათ. სკოლის მოსწავლეებს მეგზურობას უწევდა საქართველოს ეროვნული მუზეუმის საგანმანათლებლო დეპარტამენტის ხელმძღვანელი დარეჯან ძოწენიძე.



საქართველოს ეროვნული მუზეუმის საგანმანათლებლო პროგრამის „არქეოლოგია ყველასათვის“ მხარდამჭერია ბრიტანეთის „ექსტერის“ უნივერსიტეტი და იგი მიზნად ისახავს, მოსწავლეებს გააცნოს არქეოლოგიური ნიმუშის გზათხიზებიდან საგამოყენო დარბაზამდე.

„მანათლების ხელშეწყობის პროგრამა“ აფხაზეთის საჯარო სკოლებში

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს განათლებისა და საგანმანათლებლო პროგრამების სამსახური, „მანათლების ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში, წარმატებით აგრძელებს ქვეპროგრამას - „კარიერის დაგეგმვა, პრო-

ფესიული ორიენტაცია და სახელობო სწავლება სკოლებში“. ქვეპროგრამა მოსწავლეებს ეხმარება მომავალი პროფესიული საქმიანობის გააზრებულად არჩევასა და კარიერის სწორად დაგეგმვაში. პროექტის ფარგლებში მოსწავლეებს საშუალება აქვთ დაუფიქრონ სხვადასხვა სახელობო პროფესიის (ტრაქტორა, გობელენი, ხეზე კვეთა, ძეგლვა, მინაზე ვიტრაჟული ხატვა და სხვ.) პირველად უნარ-ჩვევებს, გაერკვნენ თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებში.



წლებულს ქვეპროგრამის პროფესიათა ჩამონათვალი გაფართოვდა. კერძოდ, აფხაზეთის №5 და №11 საჯარო სკოლებში დაემატა ახალი მიმართულება - აკრილის საღებავის ტილოზე დახსმით აბსტრაქციული ხატვის სწავლება და ქართული ხალხური ხაღისის ქსოვის ტექნიკის პირველადი უნარ-ჩვევების დაუფლება. ამ სიახლემ მოზარდებში დიდი პოპულარობა და ინტერესი გამოიწვია.

ჩვენებურება შემოქმედებითი საღამო გამართეს

პროექტის „ქართულ-აფხაზური სამუსიკო დიალოგი“ ფარგლებში, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროსა და ანსამბლ „შავნაბადას“ მოწვევით, თბილისს, თურქეთში მცხოვრები ქართველების, აფხაზეთის, ოსებისა და კავკასიის სხვა ერების წარმომადგენლები შეკრებიდნენ.

სტამბოლში მცხოვრები ემიგრანტის, პროზაიკოსისა და პოეტის, კაფე „გალაქტიონის“ დამფუძნებლის ირაკლი კაკაბაძის თაოსნობით, თურქეთში, ქალაქ სტამბოლში რამდენჯერმე მოეწყო ქართულ-აფხაზური მუსიკის მასტერკლასები, რომელსაც ანსამბლ „შავნაბადას“ ხელმძღვანელი დათო ცინცაძე უძღვებოდა.

ქართული მუსიკისადმი დიდი სიყვარული-სა და პატივისცემის გამოხატვის მიზნით, ამჯერად უკვე ჩვენებურები, რომელსაც ანსამბლი „კავკასიელი არწივები“ წარმოადგენს (ხელმძღვანელი ზურაბ ტარიელაძე), საქართველოს ეწვივნენ. სამი დღის განმავლობაში მასპინძლებმა სტუმრებს თბილისის არერთი ღირსშესანიშნაობა დაათვალიერებ-

ბინეს. ბოლოს კი „კავკასიელმა არწივებმა“ და „შავნაბადას“ ერთობლივი კონცერტი გამართეს. კონცერტს უძღვებოდა „შავნაბადას“ სამხატვრო ხელმძღვანელი დათო ცინცაძე. მან დამსწრეთ ამაღლებული ისტორია მოუთხრო იმასთან დაკავშირებით, რომ ანსამბლ „კავკასიელი არწივების“ წევრმა ბურაქ ალქანმა (თოდანაძე) მეორე წევრს - აიშე ოლგუნს (თავაძე) ხელი საგანგებოდ ჯვრის მონასტრის ეზოში სთხოვა. საგულეხშია, რომ ახალგაზრდებს საცხოვრებლად საქართველოში სურთ გადმოსვლა. დამსწრეთ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს სახელით მიესალმა მინისტრის მოადგილე ჯაბა ჯაიანი.

საღამოს ესრებოდნენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრი როლანდ ნიჭარაძე, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები ვახტანგ ყოღბაია და ვაჟა გვაზავა, ლიტერატურისა და ხელოვნების წარმომადგენლები.



რუს სთავაზომის EURAXESS-ი აფხაზ მეცნიერებს

ევროკავშირის ინიციატივისა და მეცნიერების ორგანიზაცია EURAXESS-ში საქართველოც გაწევრიანდა. EURAXESS-თან თანამშრომლობა, საქართველოს სახელით, აფხაზ მეცნიერებსაც შეუძლიათ.

უფრო ვრცლად, თუ რა ახალ შესაძლებლობებს სთავაზობს სართაშორისო სამეცნიერო ორგანიზაცია წვერი სახელმწიფოების წარმომადგენელ მეცნიერებს, მოგვითხრობს შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორი ზვიად გაბისონია:

- ბატონო ზვიად, რა მნიშვნელობა აქვს EURAXESS-ში გაწევრიანებას მეცნიერების განვითარებისთვის, რა დამატებით შესაძლებლობას სთავაზობს ეს ქართველ მეცნიერებს?

- საქართველოს გაწევრიანება ევროკავშირის ინიციატივისა და მეცნიერების ორგანიზაცია EURAXESS-ში ახალი ნაბიჯია ევროპის სამეცნიერო სივრცეში ინტეგრაციისკენ. EURAXESS-ი ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული ორგანიზაციაა მთელ მსოფლიოში. გაწევრიანების დოკუმენტებს - მხარეთა მიერ მზაობის გამოხატვის დეკლარაციას (Declaration of Commitment) და ხელშეკრულებას - ხელი ბრიუსელში 24 სექტემბერს მოვაწერეთ. საგულეხშია, რომ ქართველ მეცნიერებს პირდაპირი წვდომა ექნებათ 15 000-ზე მეტ მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტთან, სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტთან და კვლევებით დაინტერესებულ ბიზნესთან, ასევე მსოფლიოს 500-ზე მეტ საერთაშორისო და შიდა ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტებთან. EURAXESS-ში გაწევრიანებით ქართული ორგანიზაცია პირველად იქნება „ორიზონ 2020“-ის პირდაპირი ბენეფიციარი და კოორდინატორი;

- საქართველოს სახელით EURAXESS-თან თანამშრომლობა აფხაზ მეცნიერებსაც შეუძლიათ. რამდენად არის ეს მნიშვნელოვანი არსებული კონფლიქტის კონტექსტში?

- 2020 წლის იანვრიდან „EURAXESS“-ის პლატფორმაზე განხილვა საქართველოს დროშა, რომლის ქვეშაც განათავსდება ინფორმაცია საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში მიმდინარე პროექტებისა და კონკურსების შესახებ. პორტალ „EURAXESS Georgia“-ზე ინფორმაცია ქართულ, ინგლისურ და აფხაზურ ენებზე დაიდება. აფხაზ მეცნიერებს შეეძლებათ მონაწილეობა მიიღონ მასშტაბურ საერთაშორისო პროექტებში საქართველოს სახელით. ეს ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან ჩვენს აფხაზ კოლეგებს ვთავაზობთ უზარმაზარ სამეცნიერო ინფორმაციაზე წვდომისა და საერთაშორისო კვლევებში ჩართვის რეალურ შესაძლებლობას. დღეს აფხაზი მეცნიერები, გასაგები მიზეზების გამო, მოწყვეტილი არიან საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეს. ჩვენს შეთავაზება კი მათ ამ სივრცეში უხსნის გზას;

- რამდენად არის EURAXESS-ის შესახებ ინფორმაცია ცნობილი აფხაზეთში მცხოვრები მეცნიერებისთვის?

- ჩვენ ყველა საშუალება გამოვიყენეთ ინფორმაციის გასავრცელებლად. ვფიქრობთ, აფხაზმა მეცნიერებმა, ჩვენმა კოლეგებმა, კარგად იცნა ამის შესახებ, რადგან ისინი თვალყურს ადევნებენ აქ მიმდინარე პროცესებს.

ნათო ობოლაძე

გზა თავისუფლებისა და გახსნილობისკენ

ინტერვიუ ქეთევან ციხელაშვილთან

ლიანა მარქარიანი

წლებულს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონიდან უმალეს სასწრაფოებში ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობამ 386-ს მიაღწია, როცა გასულ წლებში მხოლოდ სპეციალურად გამოყოფილი 150-კაციანი კვორტა ივსებოდა. მიუხედავად იმისა, რომ 2019 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის საზღვარი დაიკეცა და 187 დარეგისტრირებული აბიტურენტის უმეტესობამ გამოცდებზე გასვლა ვერ შეძლო, ისინი მაინც სტუდენტები გახდნენ, რაც ახალი პროგრამებითა და ინიციატივებით არის განპირობებული. ამასთან, საქართველოს მთავრობისთვის პრიორიტეტს წარმოადგენს აფხაზეთის ენის, როგორც საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული მეორე სახელმწიფო ენის, შენარჩუნება და დაცვა, რაც გულისხმობს როგორც აფხაზეთის ენის ცოდნისა და შესწავლის ხელშეწყობას, ისე აფხაზეთის ენის, იდენტობის და კულტურის კვლევას და შემდგომ განვითარებას.

ყველაზე მთავარი ინიციატივა კი, რომელიც თითქმის ყველა პროექტსა და პროგრამას მოიცავს, არის „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“, რომლის ერთ-ერთი ყველაზე მთავარი მიმართულება აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის მოსახლეობისათვის განათლების შესაძლებლობების განვითარებაა. ახალგაზრდებისთვის შექმნილი ფართო საგანმანათლებლო პროგრამებისა და სხვა ინიციატივების შესახებ, რომლებიც ოკუპირებულ რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის ხარისხიან განათლებას უზრუნველყოფს, ვესაუბრეთ საქართველოს შერიცხვისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრს ქეთევან ციხელაშვილს.

– ქალბატონო ქეთევან, კონკრეტულად რა საგანმანათლებლო პროგრამები არსებობს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები და დევნილი ახალგაზრდებისთვის?

– უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნო, რომ განათლება ჩვენი სახელმწიფოსთვის ერთ-ერთი პრიორიტეტია. ეს საკითხი ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ოკუპირებულ ტერიტორიებზეც. ჩვენ ბევრი პროგრამა გვაქვს საიმიხოდ, რომ იქ მცხოვრები ახალგაზრდები საგანმანათლებლო თუ უცხოელი პარტნიორების მხრიდან დაფინანსებულ პროექტებში ჩაერთონ. ასევე ვცდილობთ, შევუმსუბუქოთ მათ აღვილობრივი

ხელისუფლების დისკრიმინაციული პოლიტიკის გამო შექმნილი მძიმე პირობები. ეს საკმაოდ რთულია, რადგან ჩვენ არ გვაქვს პირდაპირი ინსტრუმენტები, რომლითაც ჩავერთოთ ამ პრობლემის მოგვარებაში.

მიუხედავად ამგვარი მდგომარეობისა, ენგურს ვაძლავს მცხოვრები ახალგაზრდები მაინც ახერხებენ იმას, რომ კონკურენტუნარიანები იყვნენ. ცოტა ხნის წინათ ისინი ერთიან ეროვნულ გამოცდებს აბარებდნენ და ასე ხედებოდნენ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში – ჩვენ გვაქვს სპეციალური კვორტა, დაახლოებით 150 ადგილი, ამ ახალგაზრდებისთვის. თუმცა, წელს უკვე სხვა, აბსოლუტურად ახალი ინსტრუმენტებიც ავაიმოქმედეთ. კერძოდ, დაიწყო ჩვენი ახალი სამშვიდობო ინიციატივა – „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“, რომელიც მხოლოდ განათლების მიმართულებით დაახლოებით 8 ძირითადი პრიორიტეტია: დაწესებულებების ოკუპირებულ ტერიტორიებზე მშობლიურ ენაზე განათლების ხელშეწყობით, დასრულებული ძალიან კონკრეტული მექანიზმებით, თუ როგორ შეიძლება ახალგაზრდა მოხვედეს უმაღლეს თუ პროფესიულ სასწავლებელში. გარდა ამისა, ჩვენ ისევ ვცდილობთ უმაღლეს სასწავლებლებში ეროვნული გამოცდების გზით მოხვედრის და 150 სტუდენტის მხარდაჭერის შესაძლებლობას.

ბოლო ორი წელია, რაც „4+1“ პროგრამა გავრცელდა აფხაზეთსა და ოსურეთში სტუდენტებზე. თუ აქამდე მხოლოდ სომეხი და აზერბაიჯანელი ჩვენი თანამოქალაქე ახალგაზრდები ხედებოდნენ ერთი გამოცდით ქართული ენის მოსამზადებელ კურსზე და შემდეგ უმაღლეს სასწავლებელში აგრძელებდნენ სწავლას, დღეს ეს შესაძლებლობა აფხაზეთისა და ოსურეთის მატარებლებსაც აქვთ.

ყველაზე მთავარი კი არის ის, რომ შევქმნით სკოლის შემდგომი მოსამზადებელი ცენტრები: ერთი ზუგდიდში და მეორე თბილისში, თსუ-ის ბაზაზე, რამაც წლებულს აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან სტუდენტების რაოდენობა გააორმაგა (ძირითადად ჩართულია გალისა და ახალგაორის მოსახლეობა, რომელიც ყველაზე მოწვევადია). ამ ცენტრში გამოცდების გარეშე მივიღეთ ახალგაზრდები, რომლებსაც აქვთ სურვილი, რომ მიემზადონ გარკვეული პერიოდით. ეს არის ადაპტირებული მე-12 კლასი, სადაც არჩევითი 10 საგანია. გარდა ამისა, მოსწავლეები იღებენ სტიპენდიას 150 ლარის ოდენობით, აქვთ საერთო საცხოვრებელი ყოფნის შესაძლებლობა, ძალიან ინტენსიურად სწავლობენ და ცდილობენ, შეივსონ ის დანაკლისი, რაც ჰქონდათ. სხვათა შორის, ისინი ეროვნულ გა-



მოცდებზე გასვლის გარეშე, სწორედ სასკოლო გამოცდებით ხვდებიან უმაღლეს სასწავლებელში. ამ პროგრამის დახმარებით წლებულს 386 სტუდენტი გვაქვს, როცა ადრე 150 გვაქვდა.

წლებულს კიდევ ერთი და ძალიან მნიშვნელოვანი სიახლე იყო ის, რომ ის სტუდენტები, ვინც ეროვნული გამოცდებით აბარებდა ჩაბარებას და დარეგისტრირებული იყო, მათ, გამონაკლისის სახით, მივეცი შესაძლებლობა და ეროვნულ გამოცდებზე მიღებული შედეგების და გამოცდაზე გამოცხადების გათვალისწინებით გარეშე ჩავერთოთ უმაღლეს სასწავლებლებში, თუმცა პირველ კურსზე მოუწევთ გარკვეული გამოცდების ჩაბარება. ეს გავაკეთეთ მხოლოდ იმიტომ, რომ მათ მართლაც არააღმართად მოექცნენ – ზუსტად მაშინ დაიკეტა გადასასვლელი, როცა ბავშვები გამოცდებიან სთესის ჩამოსვლას აბარებდნენ. ახალგაზრდები მდინარიდან ან მავთულხლართებზე, სისხლის და სიცოცხლის ფასად, გადმოდიოდნენ ჩვენ მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე. შემდეგ მოლაპარაკება გვექონდა აფხაზეთის მხარესთან და ნაწილი გამოატარეს, ნაწილი – არა. იმიტომ, ზოგი მეორე გამოცდიდან შეუერთდა ეროვნულ გამოცდებს, ზოგმა საერთოდ ვერ მოახერხა, რის გამოც, ყველას მიმართ გამოვიჩინეთ ერთიანი მიდგომა და 178 დარეგისტრირებული აბიტურენტი ჩაირიცხა უმაღლეს სასწავლებელში (თავდაპირველად იყო 187, მაგრამ 9 უბრალოდ არ გამოუშვეს).

გაგრძელება მე-4 გვერდზე

რუსლან აბაშიძე: “ახალგაზრდებში ვხედავ ძალას, რომელიც ბარიერებს და მავთულხლართებს ძლიერია”



აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა ახალ პროექტებზე აქტიურ მუშაობას იწყებს და მათგან რამდენიმე პრიორიტეტულ მიმართულებას გამოყოფს. მათ შორის აქცენტს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები და დევნილი ახალგაზრდების განათლებასა და დასაქმებაზეც კეთდება.

კონკრეტულად რა პროექტები ხორციელდება და მიმდინარეობს თუ არა ნდობის აღდგენის ეტაპობრივი პროცესი კონფლიქტით დაზარალებულ სამოგადობებს შორის, გვესაუბრება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი რუსლან აბაშიძე.

– ბატონო რუსლან, ხანამ ახალგაზრდულ თემებს შეეხებოდეთ, ზოგადად გუთხარით, რა ნაბიჯებს დგამს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა ენგურსიკითა საქართველოსთან დაახლოების თვალსაზრისით?

– შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ვმუშაობთ ბევრი მიმართულებით – განათლების, ჯანდაცვის, ასევე სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების წახალისების კუთხით. ამ პროექტების განხორციელებაში მონაწილეობს საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება, აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობა, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები. ჩვენ ამოცანა, კონკრეტული შედეგების მიღებაა. შესაბამისად, ყველა ის პროექტი, რომელიც ხორციელდება, მიმართულია ოკუპირებულ ტერიტორიაზე და სხვა დანარჩენ საქართველოში მცხოვრებელ საზოგადოების გაერთიანებისკენ.

პირადად მე მიმანია, რომ შერიგებისა და გაერთიანების ყველაზე დიდი შესაძლებლობა დევს არა იმ ძლიერ მექანიზმებში, რომლებსაც მთავრობა ან საერთაშორისო ორგანიზაციები ქმნიან, არამედ საზოგადოებაში. ბუნებრივია, აქ

ივლისსხმება არა მარტო დევნილები, არამედ ხალხი, ვინც ოკუპირებულ ტერიტორიაზე ცხოვრობს. ჩვენთვის მთავარია ამ ადამიანებს თვითრეალიზების და დასაქმების საშუალება მივცეთ.

დღეს გვაქვს ძალიან ბევრი ინიციატივა, რომელიც უკეთესი მომავლისკენაა მიმართული. ამათგან ერთ-ერთია პროცესშია და მალე ვაცნობებთ საზოგადოებას.

– კონკრეტულად რა კეთდება იმისთვის, რომ აფხაზეთში ხალხის ნდობა და სიყვარული დაიბრუნდეს?

– ოკუპირებულ ტერიტორიაზე მყოფ ადამიანებს რთულ პირობებში უწევთ ცხოვრება, რადგან ისინი მეტად გრძობენ ოკუპანტი ქვეყნის ზეწოლას. მათ არ აქვთ არც გამოხატვის და არც განათლების თავისუფლება. ჩვენს შორის ბარიერია აღმართული და თუ ის არ დაინგრა, გავეპირდებით პოზიტივიზაციას და ახლო ურთიერთობის ჩამოყალიბებას ერთმანეთთან. ქართულ-აფხაზეთი ურთიერთობების საბოლოო გაცემა მიგვიყვანს ფაქტობრივ კატასტროფამდე, რომლის შედეგად იქნება აფხაზეთი ეთნოსის, კულტურისა და მენტალობის სამუდამო გაქრობა.

საწარმო ან ნებისმიერი „სტრატეგია“, სადაც თავად მიიღებენ გადაწყვეტილებებს. ძალიან ბევრი პროგრამა განათლებასა და ორიენტირებულად, რაც ასევე ჩვენი პრიორიტეტია.

– რა პროგრამები მოქმედებს დევნილი ახალგაზრდებისთვის და აფხაზეთიდან გადმოსული სტუდენტებისთვის?

– რამდენიმე პროგრამა მოქმედებს. წარმატებული ახალგაზრდების მხარდაჭერის ფარგლებში, როგორც სწავლის დაფინანსების, ისე უშუალოდ სწავლის გავრცელების თვალსაზრისით. ახალგაზრდებში რესურსი ნამდვილად არის და ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, მათ უნდა დავეხმაროთ. ამ შემთხვევაში არ აქვს მნიშვნელობა, ისინი სწავლას აქ გააგრძელებენ თუ საზღვარგარეთ, მთავარია იყოს წარმატებული სტუდენტი. ახლა ვმუშაობთ კონკრეტულ იდეებზე და სამომავლოდ ძალიან ბევრი პროექტი იგეგმება.

– ბატონო რუსლან, ძალიან ბევრჯერ ვახსენეთ ახალგაზრდები. თქვენ რა ძალას ხედავთ მომავალ თაობაში?

– ახალგაზრდები უნდა იყვნენ მეტად აქტიურები და კრეატიულები, რადგან ამ აქტიურობაზე გადის ჩვენი შერიგების პოლიტიკა. ჩვენ ძალიან ხშირად ჩართობთ ვაყენებთ საკუთარ თავს. მიმანია, რომ ის იდეები, რომელიც ახალგაზრდებს გაუჩნდებათ, შეიძლება არ მოუვიდეს ახრად უფროს თაობას და უფრო იქნება მორგებული დღევანდელ რეალობასთან. ჩვენი მოვალეობა კი ის არის, რომ მათ მაქსიმალურად მხარი დავეჭიროთ. სამწუხაროდ, ისეთი დრო გავიარეთ, რომ ბევრი უარყოფითი მაგალითი შეგვიძლია მოვიტანოთ. იმიტომ ახალი სტრატეგიის განსაზღვრა ძალიან რთულია. ყველაფერს მარტო ახალგაზრდებს ვერ გადავიტანთ, მაგრამ მნიშვნელოვანი არის ის, რომ თანამედროვე თაობა ამ სტეპებისგანაც შორს დგანას – ისინი სხვაგვარად აღიქვამენ ყველაფერს. უნდა ითქვას, რომ ახალგაზრდას თვითრეალიზების პირობები სჭირდება, ანუ მეტი თავისუფალი სივრცე მივანიჭოთ და ჩარჩოებში არ უნდა ჩასვა, ეს არის ყველაზე მთავარი. მე ახალგაზრდებში ვხედავ ძალას, რომელიც ყოველგვარ ბარიერებზე და მავთულხლართებზე ძლიერია.

„აფხაზეთი მთელი საქართველოსი, მანსაკუთრებით კი ახალი თაობისა“



ქართველებსა და აფხაზებს შორის ურთიერთობების აღსადგენად უმნიშვნელოვანესია საერთო საგანმანათლებლო, კულტურული თუ სპორტული პროგრამების არსებობა, რომლებიც ხელს შეუწყობს მათ შორის ჩატეხილი ხიდის აღდგენას. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო ოკუპირებული გალის რაიონის მინარტულებით არაერთ პროექტს ახორციელებს, რომელიც შირდაპირ თუ ირიბად აფხაზების ერთ ნაწილსაც ეხება. გვესაუბრება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრი როლანდ ნიშნაძე:

– ბატონო როლანდ, ოკუპირებული გალის რაიონის მინარტულებით ძირითადად, რა ტიპის საგანმანათლებლო პროექტებზე მუშაობს თქვენი სამინისტრო?

– ამ თვალსაზრისით განხორციელებულ პროექტებს შორის უმთავრესია: ქართული ენის უფლებრივი მდგომარეობის აღდგენაზე ზრუნვა, ოკუპირებულ ტერიტორიაზე ხარისხიანი განათლების გავრცელება, გაღვივებული პედაგოგების პროფესიული დონის ამაღლება და მათთვის ტრენინგების ჩატარება, ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების აღიარება, წარსულში მისწავლულ მოტივაციის ამაღლება და წახალისების მიზნით

მათი კომპიუტერებით დაჯილდოება, ოქროსა და ვერცხლის მედალოვნობითან შესხვედრების გამართვა და ა. შ. ჩამოთვლა უსასრულოდ შეიძლება.

გარდა ამისა, უზრუნველყოფთ დევნილი ბავშვების სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტში ჩაბმას, საფუძვლიან ბანაკებში მიგვყავს და ვასვენებთ. გალის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრთან ერთად ყველანაირად ვუწყობთ ხელს გალის სკოლების წიგნებით, მხატვრული ლიტერატურითა და საჭირო ინვენტარით მომარაგებას. პარალელურად, ამ სკოლების იმ ნაწილში, რომლებიც კომპიუტერებითაა აღჭურვილი, დისტანციური სწავლება მიმდინარეობს.

ასევე ვზრუნავთ ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვაზე და ხშირად ვატარებთ სპორტულ შეჯიბრებებს. სულ ცოტა ხნის წინათ ჩატარდა აფხაზეთის საფეხბურთო ჩემპიონატი, რომელშიც გალის რაიონის ერთ-ერთმა სკოლამ წარმატებით იასპარეხა და გამარჯვებულთა შორის აღმოჩნდა. ბავშვები იმდენად კარგად იყვნენ მომზადებულები, რომ აღფრთოვანებულები დავრჩით. ჩვენ ყველანაირად ვცდილობთ მათთვის ხელშეწყობას, მუდმივად ვამარაგებთ სპორტული ინვენტარით, მაგალითად, გალის რამდენიმე სკოლას გაეწვავინათ კიდევ ტარტამი და ფარიკაობისთვის საჭირო აღჭურვილობა.

– როგორც აღნიშნეთ, გალის სკოლებს წიგნებითა და საჭირო ინვენტარით უზრუნველყოფთ. ხომ არ გეგმვებთ პრობლემები მათი ეწესადგარზე გადატანისას?

– რა თქმა უნდა, ეს გარკვეულ საფრთხეებთან არის დაკავშირებული, თუმცა მათგან თავის არიდებას უმეტესწილად ვახერხებთ. გარდა ამისა, შიში თავად მასწავლებლებსაც აქვთ. ნებისმიერ დროს შეიძლება კლასის კარი ფორმიაში აღამიანმა შეაღოს და გადაშლილი ქართული წიგნი მათ სამხილად იქცეს, რაც, ფაქტობრივად, მასწავლებლის სამსახურიდან გათავისუფლებას ნიშნავს.

– როგორც ვიცით, აფხაზეთის სკოლებში, ქართულთან ერთად, აფხაზურ ენაზე სწავლებაც შეზღუდულია. რას იტყვით ამასთან დაკავშირებით?

– დიახ, აფხაზურ ენაზე სწავლება იქ მხოლოდ დაწყებით საფეხურზე, მეოთხე კლასამდე მიმდინარეობს, ხუდა კლასებში კი ყველა საგანი რუსულ ენაზე ისწავლება.

შესაბამისად, აფხაზი ახალგაზრდების მხოლოდ ძალიან მცირე წარმომადგენელმა თუ იცის აფხაზური ენა. თვით აფხაზებიც ხედავენ, რომ თუ ასე გაგრძელდა, რამდენიმე წელიწადში შეიძლება აფხაზური ენის მცოდნე ახალგაზრდა სანთლით საძებარი გაუხდეთ. და ეს იმ დროს, როცა ქართული მხარე აქტიურად ზრუნავს აფხაზური ენის დაცვასა და განვითარებაზე. უკვე რამდენიმე წელია, რაც აფხაზეთის ა/რ მთავრობისა და ჩვენი სამინისტროს ძალისხმევით, აფხაზეთის რამდენიმე საჯარო სკოლაში აფხაზური ენა გაძლიერებულად ისწავლება. მოგვხსენებთ, აფხაზური საკმაოდ რთული ენაა და ამ ენის სპეციალისტები გადამზადებას საჭიროებენ. ჩვენმა სამინისტრომ ამასვე იზრუნა და მოწვეული სპეციალისტების დახმარებით აფხაზური ენის პედაგოგებს გადამზადების ტრენინგებს ვუტარებთ.

– ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც ხელს უშლის ორი მთიე ერის დაახლოებას, გაყოფილი ისტორიაა. თუ ახორციელებს სამინისტრო რამე ისეთი სახის პროექტს, რომელიც საზოგადოებაზე ნამდვილი ისტორიის მიტანას შეუწყობს ხელს?

– 3-4 წელია, რაც თბილისის საჯარო სკოლებში აფხაზეთის ისტორიის ლექციები შევიტანეთ. საქართველოს განათლების სამინისტროს დახმარებით, ყოველ წელს, თბილისის მასშტაბით, ირჩევა რამდენიმე სკოლა, რომელთა მოსწავლეებსაც სოსხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორები აფხაზეთის ისტორიის საკითხებზე ლექციებს უტარებენ. სალექციო კურსების დასრულების შემდეგ კი ბავშვები მიღებული ინფორმაციის საფუძველ-

ზე თემებს წერენ და ამ პროექტის ფარგლებში გამართულ კონფერენციებზე წარადგენენ. გარდა ამისა, 2018 წელს, აფხაზეთის რეალური ისტორიის გავრცელების მიზნით, გამოვეცით წიგნი „აფხაზეთის (საქართველო) ისტორიის საკითხები - „საკითხავი წიგნი“, რომლის ავტორები არიან ჯემალ გამახარია, ლია ახალაძე და ლაზირ ჯოჯუა. ეს წიგნი პირველ რიგში რუსულ ენაზე უნდა ვთარგმნოთ.

ქართული მხარე აქტიურად ზრუნავს აფხაზური ენის დაცვასა და განვითარებაზე.

აქვე უნდა ვთქვა, რომ ჯემალ გამახარია, ისტორიკოსი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, არაერთი ანალოგიური ხასიათის, რამდენიმე ენაზე გამოცემული წიგნის ავტორია. ეს პროცესი უნდა გავრძელდეს, უნდა გამოვეცით წიგნები აფხაზეთის ისტორიაზე, ჩვენს ავის-მოსურნეებს მოსვენება არ უნდა მიეცეთ და როგორმე წავაკითხოთ აფხაზეთის ნამდვილი ისტორია.

რასაც არ უნდა ვაკეთებდეთ, არ უნდა დაგვაიწვიდეს, რომ 27 წელი ისტორიისთვის რეალურად ერთი დღეა და აფხაზეთი ისევე „ცვილია“. ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ ახალგაზრდობამ არ დაივიწყოს ეს ტკივილი, რადგან აფხაზეთი მთელი საქართველოსი და, განსაკუთრებით კი, ახალი თაობისაა.

ანი დეკანოზიძე
ელენე ზაქარაძე
ნათალია ზამბარაძე

გზა თავისუფლებისა და გახსნილობისკენ

ინტერვიუ ქეთევან ციხელაშვილთან

მე-3 გვერდიდან

– საინტერესოა, რა საგანმანათლებლო პროგრამები არსებობს ე.წ. საზღვრისპირა, ჩვენ მიერ კონტროლირებად სოფლებში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის?

– სახელმწიფო სრულიად უფინანსებს სწავლას საოკუპაციო ხაზის გასწვრივ მდებარე სოფლებიდან წამოსულ ახალგაზრდებს. საერთო ჯამში, 116 სოფელია და უკვე მერამდენე წელია, ყველა ახალგაზრდა ფინანსდება, რადგან განსაკუთრებულად მოწყვედილია ითვლება არა მხოლოდ დევნილები და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები საზოგადოება, არამედ ისინიც, ვინც იმ სოფლებში ცხოვრობენ, რომლებიც მათუფხლართითაა გაყოფილი. ბევრს მიწა აქვს ჩამოჭრილი ანუ ოჯახის შემოსავლის წყარო. ხალხს ყოველდღე მათუფხლართების პირისპირ და რუსი ჯარისკაცების პატრულისთვის ქვეშ უწევს ცხოვრება და ბუნებრივია, რომ ეს ჯგუფიც ძალიან დაზარალებულია. ამიტომ იქიდანაც გვეყავს 1500-ზე მეტი სტუდენტი.

საქართველოს ყველაზე დიდი რესურსი არის ადამიანური რესურსი და ეს უნდა იქცეს კამიტალად. ჩვენი ეკონომიკის, კეთილდღეობისა და მშვიდობისთვის მთავარი ინვესტიცია ინტელექტში, განათლებასა და ახალგაზრდებში უნდა ჩაიდოს.

– ოკუპირებულ ტერიტორიებზე ქართული ენის სწავლება მათთან დაკავშირებულ სირთულეებზე ბევრი იწერება და ითქმება. რა ვითარებაა ამ მხრივ იქ მოქმედ სკოლებში?

– სამწუხაროდ, მშობლიურ ენაზე განათლების მიღება უკვე ყველგან ეკრძალებათ. მათ პრინციპულად არ აძლევენ შესაძლებლობას, რომ მშობლიურ ქართულ ენაზე განაგრძონ სწავლა. მიუხედავად მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მშობლების გამირული თავდადებისა, ეს საკითხი 25 წელია, პრობლემურია.

აფხაზური მხრიდან მოლაპარაკებებზე ხშირად მესმის – ხომ ვასწავლით ქართულს? საქმე ისაა, რომ აქ მხოლოდ მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლების შეზღუდვის საკითხი კი არ დგას, არამედ – პრობლემა, რომელიც აჩვენებს, რომ ამ ბავშვებმა, საბოლოო ჯამში, არც რუსული იციან და არც ქართული. ამ პირობებში, იქ მცხოვრები ადამიანების მხარდასაჭერად სახელმწიფო ატარებს გარკვეულ დონის ძიებებს, რაზეც საჯაროდ და მასმედიაში ვერ ვსაუბრობთ.

– როგორც ცნობილია, კონკრეტული ცვლილებები არის პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტაციასთან დაკავშირებითაც...

– ეს არის ახალი ლეგიტიმური ინსტრუმენტი, რომლის მიხედვითაც მათ არ სჭირდებათ საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ან პასპორტის აღება. მაგალითად, აფხაზი ან ოსი ჩვენი თანამოქალაქე, სხვადასხვა მიზეზის გამო, შეიძლება ვერ ან არ იღებდეს ამ დოკუმენტებს. ამიტომ, მათთვის ქართულ სამართლებრივ სისტემაში სტატუს ნეიტრალური იდენტიფიკაციის ინსტრუმენტი შექმნილია. ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირები, მათ ხელთ არსებული დოკუმენტების საფუძველზე და პირადი ნომრის ვირტუალური მინიჭებით, შეძლებენ გადმოსვლას და ასევე სწავლის გაგრძელებას. მათ არანაირად არ სჭირდებათ თუნდაც პოლიტიკური ნაბიჯის გადადგმა, ანუ პოლიტიკურ ან სამართლებრივ სივრცეში დოკუმენტით შემოსვლა, რამაც საკმაოდ გაამარტივა პროცესი.

– სოხუმში არსებული უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის თუ არსებობს ჩვენს სახელმწიფო უნივერსიტეტებში გადმოსვლის ხელშეწყობის პროგრამა?

– უნდა ითქვას, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული უნივერსიტეტის სტუდენტებისთვისაც გვაქვს შედავითიანი პირობები და მობილობის წესით გადმოგვყავს. რეალურად, ვისაც სწავლა აქვს დაწყებული, უგამოცდოდ ხედავთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, თუმცა, რა თქმა უნდა, თავიდან უნდა გაიაროს კონკრეტული საგნები და დაავროფოს კრედიტები. ბუნებრივია, ამას ასე პირდაპირ მობილობა არ ჰქვია, რადგან ასეთი შეთანხმება არაღიარებულ უნივერსიტეტთან ვერ გვექნება, თუმცა ძალიან ჰგავს მობილობას.

– ასევე საინტერესოა, თუ როგორ ხდება ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული უნივერსიტეტის დიპლომის აღიარება თბილისში?

– ეს ჩემი, როგორც მინისტრის, ამ მიმართულებით გადადგმული პირველი ნაბიჯი იყო. 2017 წლის დასაწყისში საქართველოს განათლების სამინისტროსთან ერთად ვიმუშავეთ და ძალიან მაღვევ სპეციალური დადგენილებით გაგამარტივეთ დიპლომის აღიარების წესი. ამჟამად სამი მოქნილი გზა არსებობს იმისთვის, რომ იქ მცხოვრებმა ადამიანმა შეძლოს, ფაქტობრივად, არადგეგაღვი დოკუმენტით/დიპლომით, როგორც დანარჩენ საქართველოში, ისე საზღვარგარეთ, სწავლის გაგრძელება. პირველი არის ის, რომ სტუდენტმა უნდა მოგვმართოს. მომართვას განიხილავს განათლების აკრედიტაციის ცენტრი, დადგინდება ქულები და განიხილება გავლილი

საგნებიც, რადგან იქ პოსტსაბჭოთა სისტემა დარჩა და აქ უკვე ბოლონის და საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით მიმდინარეობს სწავლება. მეორე, აბლიკანტს შეუძლია ელექტრონულად გააკეთოს განაცხადი, როგორც ქართულად, ისე აფხაზურად და რუსულად, რადგან იქ რუსულად სწავლობენ და ენის ცოდნის პრობლემა დგას. მესამე ვარიანტი არის ის, რომ დაუკავშირდეს ადგილზე მყოფ რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციას ან გაცვლით პროგრამას. თუ მას არ უნდა, რომ ჩვენს რომელიმე ინსტიტუციას პირდაპირ მიმართოს, მეორე ის ორგანიზაცია მოგვმართავს. წარმოუდგენლად გაგამარტივეთ ეს პროცესი იმისთვის, რომ სტუდენტმა რომელიმე გზის გამოყენება შეძლოს.

ახალგაზრდები საკუთარ ინტუიციას უნდა ენდონ და გაწყვიტონ რაციონალური სწრაფვას უკეთესი მომავლისაკენ. პირველი ნაბიჯი მუსტად მათ უნდა გადადგან თავისუფლებისა და გახსნილობისაკენ.

– სწავლის დასრულების შემდეგ უკან დაბრუნების პრეკულენტი ხშირია? როგორ ხედვითან ახალგაზრდებს ოკუპირებულ ტერიტორიაზე უკვე, მაგალითად, ჩვენი რომელიმე სახელმწიფო უნივერსიტეტის დიპლომით?

– მთავარი არის ის, რომ აქ სწავლით და ამ დიპლომებით მათ დასაქმების და სწავლის გაგრძელების მეტი შესაძლებლობა ეძლევათ. თუმცა, დღეს ცუდი არის ის, რომ ადგილობრივები, და, ცხადია, ახალგაზრდებიც, იქაურობას ტოვებენ. როდესაც არ გაქვს ჭანგბადი და გჭირდება სუნთქვა, იძულებული ხარ, წახვიდე. ძალიან ძნელია იქ ყოფნა და ცუდი ტენდენციაა, რომ, სამწუხაროდ, ბევრი არ ბრუნდება. ჩვენი პოლიტიკაც ამ ადამიანებისთვის გზის გაკვლევაზეა მიმართული, რომ მივლიანად არ მოწყდეს საქართველოს, იქნება ეს აფხაზეთის თუ ცხინვალის რეგიონი.

– ქალბატონი ქეთევან, საინტერესოა, როგორი იქნება თქვენი გზავნილი ამ ახალგაზრდების მისამართით?

– ახალგაზრდები საკუთარ ინტუიციას უნდა ენდონ და გააწყვიტონ რაციონალური სწრაფვას უკეთესი მომავლისაკენ. პირველი ნაბიჯი უმუსტად მათ უნდა გადადგან თავისუფლებისა და გახსნილობისაკენ. ეს მათ აუცილებლად მიიყვანს იქამდე, რომ არა მხოლოდ დაეღაპარაონ საზოგადოებას პირობითი გამყოფი ხაზის აქვთ, არამედ მათთან ერთად იპოვონ გამოსავლის გზებიც.

“მტრის ხატის შექმნა ადვილია, მსხვრევს- რითული”

ინტერვიუ ფსიქოლოგ ეკატერინე ფირცხალავასთან



ნათო ობოლაძე

მტრის ხატის შესაქმნელად ხანდახან ნამებაც საკმარისია... ომი, ცხოვრება დევნილობაში, რუსეთის ოკუპაცია, დაპირისპირება ოსებთან და აფხაზებთან - ეს საქართველოში არსებული რეალობაა. უკვე ათწლეულებია საქართველო აფხაზებთან საერთო ენის გამოწვევას უშედეგოდ ცდილობს. ომის გავლენა დიდია, მაგრამ კონკრეტულად როგორ? ნიშნავს თუ არა პრობლემის დანახვა-გაანალიზება მისი მოგვარების დაწყებას? შესაძლებელია თუ არა სისხლით დაწერილი მტრის ხატის მსხვრევა? ამ საკითხებზე ადამიანებზე ომის შემთხვევების შესახებ გავლენის ფსიქოლოგიის სპეციალისტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი **ეკატერინე ფირცხალავა** გვესაუბრება.

— ქალბატონო ეკა, რა გავლენას ახდენს ომი ადამიანების ფსიქიკაზე?

— ადამიანის ფსიქიკაზე ბევრი რამ ახდენს გავლენას, განსაკუთრებით ომი. განსაკუთრებულია რამდენიმე ფაქტორი — რა ტიპის ომი, რამდენ ხანს გრძელდება და რა ტიპის ტრავმებთან არის დაკავშირებული. ამავე დროს, გააჩნია, ვისზე ვლავარაობთ — ომში მებრძოდ ადამიანებზე, თუ მათზე, ვინც ომის შედეგად იმ ტერიტორიიდან გამოდევნეს. პირველ შემთხვევაში ვითარება გაცილებით რთულია, რადგან ეს ხალხი საკუთარი თავის გადასარჩენად თუ ტერიტორიის დასაცავად ადამიანებს კლავს, მომხდარის გაცნობიერება კი იწყება ომის დასრულების შემდეგ, რაც სერიოზული ტრავმა ადამიანისთვის. ომის უბედურება ასევე სერიოზული ფსიქოლოგიური დარტყმაა იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობა არ მიუღიათ, მაგრამ საკუთარი ტერიტორია დატოვეს, საკუთრება დაკარგეს, ვეულისხმობ როგორც აფხაზეთიდან, ასევე 2008 წლის ომის შედეგად გამოდევნილებს.

— გულისხმობთ საკუთარი სახლის დაკარგვის ფაქტორს?

— მხოლოდ სახლი არ იფიქსირებს, მაგალითად, სოხუმი, სოხუმელობა კიდევ სხვა ცნებაა და ამ ყველაფერს მოჰყვება მატრავმირება. ომის მიმდინარეობისას მიღებული სტრესის შემდეგ გამოდევნილი ადამიანებისთვის დგება პოსტტრავმული პერიოდი, რომელიც ბევრად უფრო მტკივნეულია. მაგალითად, 2008 წლის ომის შემდეგ, საერთაშორისო ორგანიზაციის დაკვეთით ღონისძიებები კვლავ ჩატარდებოდა დევნილებთან. სიღრმისეული ინტერვიუები 6 თვის შემდეგ გაიმეორეთ იგივე ადამიანებთან. აღსანიშნავია, რომ მათი მდგომარეობა განსხვავებული იყო სხვადასხვა პერიოდში — პირველი შეხვედრებისას ისინი ბედნიერები იყვნენ, რადგან მათი ოჯახის წევრები ცოცხლები აღადგინეს, ნაკლებად აღადგინებდათ, რომ სახლი აღარ ჰქონდათ და ერთ ოთახში 8-12 ადამიანი ცხოვრობდა. 6 თვის შემდეგ მათ უკვე ჰქონდათ სახლები წვრილანა და კახის რაიონში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მომხდარს უფრო მტკივნეულად აღიქვამდნენ, რადგან საკუთარი დანაკარგი გააცნობიერეს, ანუ დადგა პოსტტრავმული მდგომარეობა. ომი გაცილებით ნაკლებად მატრავმირებელია დევნილთა მონაწილე თაობისთვის, რომლებიც უკვე ახალ გარემოში დაიბადნენ, რადგან მათ ეს ამბავი გამოცემით იცნობდა და შეიარაღებული კონფლიქტის უშუალო მონაწილე არ ყოფილან.

— დაპირისპირება მოხდა აფხაზებთან და ოსებთან, ადამიანებთან, რომლებთან ერთად ცხოვრობდნენ, მეზობლობდნენ... რა როლს თამაშობს ეს ფაქტორი?

— ნებისმიერი კონფლიქტი ორ ადამიანს შორის მატრავმირებელია. როდესაც ერთმანეთის გვერდზე აღარ გვხვდებით, ჩვენ ერთმანეთს ვკარგავთ. საერთაშორისო ორგანიზაციები ძალიან დიდხანს ცდილობდნენ, რომ ქართველებსა და აფხაზებს შორის კავშირი არ გაწყვეტილიყო, ამისათვის იმართებოდა საზაფხულო სკოლები, ერთმანეთს ახვედრებდნენ სტუდენტებს... თუმცა, ქართველებისთვის პრობლემა იყო ის, რომ აფხაზებს ისინი საკუთარი ეთნოსის ნაწილად მიიჩნევდნენ, აფხაზები კი — არა.

— ადამიანს ახასიათებს წარსულის გაიდევნა, ეს ჩვეულებრივი ფსიქოლოგიური თავისებურებაა. ცუდად არ ვამბობ, მაგრამ

არსებობენ ადამიანები, რომლებიც აფხაზეთში ცხოვრებაზე რომ ასახურო, მოგეგებიან როგორი „ოქროს კოშკები“ დატოვეს. როდესაც წარსულზე ვაღაპარებთ ადამიანებს, ეს ობიექტურობას მოკლებული ისტორიის სუბიექტური ნაწილია. მათთვის მატრავმირებელია ისიც, რომ იმ ადამიანების თანამონაწილეობით დატოვეს საკუთარი საცხოვრებელი, ვისაც მანამდე ენათესავებოდნენ, ემეზობლებოდნენ, ემეგობრებოდნენ... თანამონაწილეობა იმიტომ ვახსენებ, რომ აფხაზეთის ომში აფხაზზე მეტი დაქირავებული ბოვეიკი იბრძოდა. მნიშვნელოვანია დროის ფაქტორიც — დევნილების მომავალი თაობისთვის იდენტობა გადმოცემით არის ცნობილი, მათთვის დაბრუნება გაცილებით რთულია. განსაკუთრებულია ისიც, თუ როგორ ისტორიას სწავლობენ იქ და რა ისწავლება ჩვენთან, რადგან ისტორია სუბიექტური მეცნიერებაა. ამ შემთხვევაში, მისი გავლენით ომის ტრავმა დროში ძლიერდება, რადგან ობიექტური რეალობის შესახებ ინფორმაციის მიღება, უმეტეს შემთხვევაში, შეუძლებელია.

— რამდენად შესაძლებელია, რომ დრომ დადებითი გავლენა იქონიოს?

— დრო ტრავმების მასტიმულირებელია. ადამიანი ომიდან გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ უკეთ ახალიზებს მომხდარს, თუმცა ეს უნდა გააანალიზოს და ცხოვრება გააგრძელოს. როდესაც ეთნიკურ კონფლიქტზე საუბარი, ამ შემთხვევაში ვითარება გაცილებით რთულია, რადგან გადამწყვეტ როლს პოლიტიკა თამაშობს და არა ინდივიდუალური ურთიერთობები. დრო

მოც უარი ვთქვი. მეორე შემთხვევა აშშ-ში კოლუმბიის უნივერსიტეტში გამართულ კონფერენციაზე მოხდა, სადაც აფხაზმა მომხილველმა საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი კვლევის პრეზენტაცია გამართა. კვლევაში ქართველების მიმართ აფხაზი ახალგაზრდების დამოკიდებულება იყო ასახული. დამოკიდებულება იყო ნეგატიური სავე, ამბის რეალობაში ვკვირვებოდა მხელია, თუმცა ინფორმაციის ნაწილი დამახინჯებულად წარმოადგინა. საქართველოს მთავრობა ახორციელებს ჯანდაცვის და საგანმანათლებლო პროექტებს, რისი საშუალებითაც აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებლებს, უფასო სამედიცინო მომსახურებისა და ქართული პასპორტის აღების შემთხვევაში, საზღვარგარეთ უმაღლესი განათლების მისაღებად წასვლა შეუძლიათ. იქ ჩემთან იყვნენ კოლეგები და ჩვენ შევეცადეთ, კითხვების საშუალებით, სიტუაციისთვის ნათელი მოგვეხატა. თუმცა, როდესაც აფხაზეთი მხარე საერთაშორისო ასპარეზზე ამ ყველაფერს სხვა ფორმით წარმოადგენს, ჩემი ტრავმა ღრმავდება. ის აფხაზი კონფერენციაზე რუსული პასპორტით იმყოფებოდა, შესაბამისად, წარმოადგენდა არა აფხაზეთს, არამედ რუსეთს. ყველაზე დიდი პრობლემა ფსიქოლოგიური მდგომარეობა კი არა, ცნობიერებაა. მე შემიძლია ვისაუბრო ომის პოსტტრავმულ ვითარებაზე, მაგრამ სიტუაციის დარეგულირების რეცეპტი არ მაქვს.

— ზოგადად ისტორიასაც რომ გადავხედოთ, რამდენად არის შესაძლებელი მტრის ხატის მსხვრევა?

ქართულ-აფხაზური ურთიერთობების შემთხვევაში, ვითარებას ართულებს ის, რომ მხოლოდ ორი ეთნოსი არ არის ჩართული, გარე მაჭუჭყიანებელი ცვლადი — რუსეთის სახით, უარყოფით ზეგავლენას ახდენს.

გადის, ისტორია იცვლება, პოლიტიკა განსხვავებულია... როგორც ქართველები, ასევე აფხაზები, ომის ისტორიიდან ერთმანეთზე უარეს ამბებს ყვებიან. ჩვენ არ ვიცით, იქ რეალურად რა ხდებოდა, ცალკეულად მოყოლილი ისტორიებიდან შემონახული ამბები ომის ტრავმას ახანგრძლივებს. ისინი ახალი ვერსიები და ყველაფერი თავიდან იწყება. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, დრო შეიძლება იყოს როგორც მკურნალი, ასევე ტრავმის დამამძიმებელი. კონფლიქტი კონფლიქტად დარჩება, თუ სხვა ტიპის გადაწყვეტა არ მოუძებნეთ. ქართულ-აფხაზური ურთიერთობების შემთხვევაში, ვითარებას ართულებს ის, რომ მხოლოდ ორი ეთნოსი არ არის ჩართული, გარე, როგორც ფსიქოლოგიური ვეცხით, მაჭუჭყიანებელი ცვლადი — რუსეთის სახით, უარყოფით ზეგავლენას ახდენს.

— შეიძლება ითქვას, რომ აფხაზები ინფორმაციულ ვაკუუმში იმყოფებიან და ნაკლებად ინტენსიურად განსხვავებულ აზრს. შარშან თბილისში აღდგა აფხაზური ინტერნეტ-რადიო „პარა“, თუმცა რამდენად მოუხმენენ ისინი ჩვენი მხრიდან მიწოდებულ ინფორმაციას...

— ვფიქრობ, რომ არ მოუხმენენ. მე, პირადად, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე აფხაზეთთან ურთიერთობის გამოცდილება მაქვს. შარშან, პორტუგალიაში, პოსტსაბჭოთა სივრცეში მიგრაციის თემაზე გამართულ კონფერენციაზე აფხაზეთიდან მონაწილეობდა ეთნიკურად თურქი მომხსენებელი, რომელმაც ჩემთან თანამშრომლობა გადაწყვიტა, თუმცა კომუნიკაცია არაჯანსაღი და არაპოლიტიკორექტული იყო, რის გა-

— ძალიან რთულია. საუკუნეები სჭირდება. გერმანელებმა პიტლერის გამო ბოდიში მოიხადეს, მაგრამ ყველა გერმანელი ხომ არ იყო ნაცისტი? მიუხედავად ამისა, ძველი თაობისთვის ძალიან დიდი ხნის განმავლობაში ყველა გერმანელი ნაცისტთან ასოცირდებოდა. მტრის ხატის შექმნა ადვილია, მსხვრევა — რთული. ვფიქრობ, რომ „დიპლომატიური ომი“ საჭირო, თუმცა აფხაზეთზე რუსეთის გავლენა იმდენად დიდია, რომ ჯერ-ჯერობით ეს შეუძლებელია შესახება.


— რას ურთველით მედიის წარმომადგენლებს, რა როლი აქვს მათ?

— ქართული მედიის მიმართ მე ჩემი დამოკიდებულება მაქვს, ბოდიშს ვიხდი ყველა იმ პურნალისტის წინაშე, ვინც ამ ქულის ქვეშ შეიძლება არ მოხვდეს, მაგრამ მე, როგორც გავლენის ფსიქოლოგიის სპეციალისტი, ვიცი, მედიას მასზეზე ზემოქმედების რამდენად დიდი შესაძლებლობა აქვს. ამიტომ მათ დიდი დაკვირვება მართებთ. მიმანია, რომ ქართულ მედიას, 90-იანი წლებიდან დღემდე, ქვეყანაში მიმდინარე არეულობებში დიდი წვლილი მიუძღვის. 2008 წლის ომის დროს დაშვებული შეცდომების შედეგები უმძიმესი იყო, როგორ შეიძლება მედიამ ჯარის ლოკაციის ადგილი ეთერში გაახშიანოს?!

— რჩევა ასეთია — მედიის მომხმარებელი, მსმენელი, მათ შორის აფხაზიც, მოვისმენს, თუ მას ობიექტური ინფორმაციის მიაწვდი და არა შენს ინტერპრეტაციას. აფხაზების ახალი თაობა უკვე სწავლობს თავის სუბიექტურ ისტორიას, ამიტომ ობიექტური რეალობის ასახვას უმნიშვნელოვანესი დარტყირთა აქვს.

467 კილომეტრი მზა სოხუმშიდან თბილისამდე

ანი დეკანოზიძე



16 წლის ასაკში სკოლა დაამთავრა, სწავლა უნივერსიტეტში, ზღვისპირა ქალაქ სოხუმში გააგრძელა, აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისტორიის ფაკულტეტზე ერთი წლის განმავლობაში სწავლობდა, შემდეგ კი სპორტანური გადაწყვეტილება მიიღო და სასწავლებლად 467 კილომეტრი გამოიარა — ეს არის მოკლე ბიოგრაფია მარიამ ჩაღუნელიას, რომელიც სოხუმშიდან თბილისში დედასთან ერთად სამი წლის წინაა ჩამოვიდა.

„არასდროს მივიქირა თბილისში ჩამოსვლა, ბოლომდე არც იმას ვფიქრობდი, რომ აქ ვისწავლიდი, თუმცა საბოლოოდ მაინც ასე გამოვიდა.“ — გვიამბობს იგი.

გზა სოხუმშიდან თბილისამდე მარტივი არ აღმოჩნდა, დედაქალაქში ჩამოსვლას ყველაზე დიდ ბარიერად ენა ექცა. ამის გამო უნივერსიტეტის შერჩევაც გაუჭირდა, საბოლოოდ კი არჩევანი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტზე გააკეთა, რადგან სწორედ მან შესთავაზა სწავლა რუსულ სექტორზე. კავკასიოლოგიას, მედიცინასა და პურნალისტისტიკას შორის პროფესიულ უკანასკნელი აირჩია. გადაწყვეტილება სპორტანური იყო, თუმცა დღეს, როდესაც სამი წლის წინანდელ ამბავს იხსენებს, ფიქრობს, რომ სწორი არჩევანი გააკეთა. სასწავლო გარემოზე სოხუმისა და აფხაზეთის, რომ უნივერსიტეტს მარტივად შეეგუა, კურსელებსაც დაუახლოვდა და მათთან საერთო ენაც მალევე გამოიხატა: „პურნალისტისტიკა თავიდან მხოლოდ იმიტომ ავირჩიე, რომ რუსული სექტორის ფაკულტეტების ჩამონათვლიდან ყველაზე საინტერესოდ მეჩვენა. თუმცა დროთა განმავლობაში, სწავლის პროცესში მივხვდი, რომ ეს გარემო და პროფესია მომწონს.“

პატარა ქალაქ ვალში გაზრდილს, თბილისთან შეგუება გაუჭირდა, თუმცა ესეც მარტივად გადალახა, სამი წლის განმავლობაში გაიცნო და შეიყვარა თბილისი, რომლის ქუჩებშიც სეირნობას ახლა არაფერი ურჩევია. ვაკის პარკი, ძველი თბილისი და ყველა ის ადგილი, სადაც ქართულ სამზარეულოს შეხვედრით, განსაკუთრებულად უყვარს. მოსწონს ის მრავალფეროვნება, რასაც თბილისი სთავაზობს — ბევრი კინოთეატრი, სკვერი, პალი და კაფეები, თუმცა ამ ყველაფერს მაინც ის ერთი, ყველაფერსგან გამორჩეული და განსაკუთრებული — სოხუმის ზღვა ურჩევია. მარიამის აფხაზეთი მშვიდი, თბილი და ზღვისფერია, მისი ყველაზე დიდი მონატრება ზღვა და მის ნაპირზე გატარებული საღამოებია: „წარმოიდგინე ზღვა, უზარმაზარი ზღვა, და ამ ზღვაში მუქი კლაკილები გველივით, ზოგ ადგილას ღიაა, ზოგან კი მუქი, რაც ძალიან ლამაზია.“

სამომავლო გეგმებზე საუბრისას ამბობს, რომ მიუხედავად დიდი მონატრებისა, აფხაზეთში ვერ დაბრუნდება, ამიტომ მისი მონაწილეობა თბილისის უკავშირდება. მარიამს ქართული ენის საფუძვლიანად შესწავლა და პროფესიით მუშაობის დაწყება სურს, ფიქრობს, რომ პურნალისტისთვის ენის სრულყოფილი ცოდნა და საკუთარ თავზე მუშაობა აუცილებელია.

2019 წლის 6 ნოემბერს სტრასბურგში, ევროპის საბჭოს სასახლეში, აფხაზეთის გურამ ყურაშვილის სახელობის სახელმწიფო საგუნდო კაპელამ და ჯგუფმა **The Georgian Six** დემოკრატიის მერვე მსოფლიო ფორუმი საზეიმოდ გახსნეს. კაპელამ მისი სამხატვრო ხელმძღვანელის ზვიად ბოლქვაძის მიერ საგანგებოდ ამ კონცერტისთვის არანაწილებულ ქართული და უცხოური კომპოზიციები შეასრულა. დემოკრატიის მერვე მსოფლიო ფორუმში 100-ზე მეტი ქვეყნის (მათ შორის ევროპის საბჭოს 47 წევრი და ევროპის საბჭოს 6 დამკვირვებელი ქვეყნის) 2000-ზე მეტი ადამიანი მონაწილეობდა.

სპეციალურად ამ დღისთვის აფხაზეთის ა/რ მთავრობის მხარდაჭერით, აფხაზეთი კაპელის წევრებისთვის ქართულ-აფხაზური მოტივებით შეიქმნა ფორმები, რომელიც ქართული წარმოების ბრენდმა („ლაზეთი“/**LAZETI**) შეკერა. ფორმების დიზაინი ნანა კასრაძეს ეკუთვნის.

სტრასბურგში გამგზავრებამდე კი 31 ოქტომბერს აფხაზეთის გურამ ყურაშვილის სახელობის სახელმწიფო საგუნდო კაპელამ დიმიტრი ჯაიანის სახელობის დარბაზში სოლო-კონცერტი გამართა. წლეულს აფხაზეთის კაპელა გიორგი შარვაშიძის სახელობის პრემიაზე წარდგენილი.



25 ხმით შექმნილი ჰარმონია

„მუსიკა ვამთხვავს იმას, რასაც სიყვარულით ვერ ვაძიებდით და იმას, რაც ანდრეეს სიხუმრს.“
ვიქტორ პიუგო

ლიანა მარქარიანი

უმეტესობისთვის საკონცერტო დარბაზში კონკრეტული მომღერლისა თუ გუნდის მიერ შესრულებული მუსიკალური ნაწარმოების მოსმენა ბუნებრივი მოვლენაა. ბევრისთვის ეს დასვენების, ფიქრის, განტვირთვის ან, უბრალოდ, სიამოვნების საუკეთესო საშუალებაა. თუმცა, არავინ იცის, თუ რა წინაპირობა აქვს ნებისმიერ წარმატებულ შესრულებას და რა გზას გადის თითოეული შემსრულებელი დარბაზში მაყურებლისთვის იმ მუსიკისა და განწყობის შესაქმნელად, რომელსაც ჩვენ ყოველდღიური რუტინისგან, თუნდაც წამიერად, გაქცევის მიზნით ვეძებთ.

უზნაძის ქუჩაზე ვიმყოფებით. აფხაზეთის გურამ ყურაშვილის სახელობის სახელმწიფო საგუნდო კაპელამ რეპეტიცია უკვე დაიწყო - სინამდვილეში ამ ქუჩაზე უკვე დარღვეულია. დახურული ფანჯრების მიუხედავად, თითქოს არაფრით გამოჩნული შენობიდან საოცარი ხმები ისმის. აქ პირველად ვართ, თუმცა მუსიკას, როგორც სიბუნებელში სანთელი, სწორ გზაზე გაგვყავართ და იღება კარი იმ სამყაროს, რომელიც მსმენელისთვის უცნობია.

უცხო პირებს ჯერ არავინ ამჩნევს - უხილავი სტუმრებით ვართ. საგუნდო კაპელის თითოეული წევრი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, მუსიკასა და ყოველ ტაქტში იმდენად ღრმად შეღწეული, რომ ჩვენ მათი ყურადღება ვერ „დავიმსახურეთ“. ერთადერთი, რამაც რეპეტიცია გააჩერა ფორტოპიანოს წამიერი განათება იყო. თუმცა, მუსიკის სამყაროს დიდი ხნით მაინც ვერ მოვწყვეტეთ და ზუსტად 5 წუთში რეპეტიცია ჩვეული რიტმით გაგრძელდა, მაგრამ იმ პირობით, რომ მალე „გავეკრებოდით“.



თითოეული ახალი კომპოზიციის შესრულება ფორტეპიანოს მეშვეობით გაქვრებული ერთი ან ორი ნოტით იწყება, რასაც სრული პარმონია მოსდევს. ეს ის შემთხვევაა, როცა შესაძლებლობა გაქვს, თითოეულ მიმიკას ახლოდან დააკვირდე, რადგან საგუნდო კაპელაში საოცარი ეფერადობის გარდა, მოძრაობას თავისი მნიშვნელობა აქვს. აქ ჩანს ყველა შემსრულებლის ხასიათი და როგორც ამბობენ, რამდენი ადამიანიც არსებობს, შესრულების იმდენი ვერსიაც შეიძლება იყოს - ამ შემთხვევაში 25. ზუსტად ეს წარმოადგენს საგუნდო კაპელას უნიკალურობას - ხმათა მრავალფეროვნება.

კაპელა იმას ნიშნავს, რომ გუნდი აკომპანიმენტის გარეშე არის. ანუ ჩემი როლი, როგორც პიანისტისა, მიიკარგა. დღეს უკვე ჩემი ძირითადი მოვალეობაა არის ის, რომ ახალი ნაწარმოები დაგუკრა და დირიჟორს ვაჩვენო. შემდეგ ყველაზე რთული და მთავარი იწყება: პარტიები ცალ-ცალკე ხმებში უნდა ვასწავლო: სოპრანო, ალტი, ტენორი და ბანი. შემდეგ მოდის დირიჟორი და ამ ყველაფერს უკვე ის აერთიანებს. თუ დირიჟორს რამე არ მოეწონა, ყველაფერს თავიდან ვიწყებ. მე ხშირად ამას შავ სამუშაოს ვეძახი. უფრო ზუსტად ჩემს საქმეს რა ჰქვია, ვერც ვეტყვი.

ეს ოჯახია - ოჯახიდან ნახვალ?

გვერდით ოთახში მღერიან, რეპეტიცია არ წყდება - ჩვენ ვსაუბრობთ: „კოლექტივის ჩამოყალიბებიდან 4 თვეში მოვედი - შემთხვევით მოვხვდი, უბრალოდ, მეგობარს წამოყვავი. მაშინ ჯერ კიდევ კონსერვატორიაში ვსწავლობდი, რაც ჩვენმა ხელმძღვანელმა არ იცოდა. შემდეგ, ერთ-ერთს წამოსცდა და ბატონმა გურამმა თქვა, აბა, შემოიყვანეთ და ფორტეპიანოზე დაუკრასო. იმის შემდეგ მხოლოდ ერთი თვე ვიყავი ვოკალისტი.“

ჩემი მეუღლე, ილია ნონიკაშვილიც აქ მღერის. 4 წლის შვილი გვყავს და ვფიქრობ, ისიც გააგრძელებს ამ გზას. კაპელა ოჯახია - ძალიან ბევრი რამ გვაერთიანებს. როცა რამე ნაწარმოებს აცნობ, უკვე ყველას ხასიათი იცის. საგუნდო მუსიკა საერთოდ სხვა გახდა ჩემთვის. რაც უფრო ღრმად შედიხარ ნებისმიერ მუსიკაში, ის საბოლოოდ გითრევს.

იყო დრო, როცა შემძლო წავსულიყავი - სხვა სამსახურიც მქონდა, მაგრამ ეს ოჯახია - ოჯახიდან წახვალ? - გაგვიზიარა ირინა სიმონიანმა.

რეპეტიცია მრძელდება

ერთი ნაწარმოებიდან მეორეზე გადასვლამდე მცირედი პაუზაა. მხოლოდ ამ რამდენიმე წამში ისმის თითოეული მომღერლის ხმა ან პარტია ცალკე - ყველა რაღაც ნაწილს ამუშავებს თავისთვის. დასრულდა შესვენებაც (სულ 30 წამი) და ხელის ერთი მოძრაობით ცალკე მდგომი ხმები იდგალურად, დირიჟორის მეშვეობით ერთიანდება.



გუნდური მუსიკა მრავალფეროვნებითაა გამოირჩეული, ამ კაპელაში ეს კი არ ჩანს, არამედ ისმის. საუკეთესო შედეგისთვის გუნდში განსხვავებული ხმებია საჭირო და, ბუნებრივია, რეპერტუარიც გამორჩეულია. კაპელის სამხატვრო ხელმძღვანელსა და დირიჟორს ზვიად ბოლქვაძეს რეპეტიციის გაჩერება და ჩვენთან საუბარი რამდენჯერმე ვთხოვეთ, მაგრამ პროცესში იმდენად იყო ჩართული, რომ ჩვენი არც ესმოდა. ცოტა ხნის შემდეგ ზუსტად 5 წუთი დაგვიტოლა.

რეპეტიცია მაინც არ წყდება - ყველა მომღერალი თავის პარტიას ისევ ამუშავებს. „ჩვენი რეპერტუარი საკმაოდ რთულია. ვცდილობთ, რომ სხვადასხვა ერის, ეპოქისა და კომპოზიტორის ნაწარმოებები დავაგროვოთ. გესურს, მსმენელს ყოველთვის სხვადასხვა ჯანრი და ესთეტიკა შევთავაზოთ. ძირითადად, აქცენტს ვაკეთებთ ქართულ საგუნდო მუსიკაზე იმიტომ, რომ მას გვერდში დგომა და განვითარება სჭირდება.“



ძალიან ბევრი უნდა იმეცადინო ყოველდღე, რომ რაღაც პატარა შედეგს მიღწევი. ამ სფეროში ფენომენალური და განსაკუთრებული მუსიკალური უნარების მქონე მუსიკოსებია საჭირო. აუცილებელია, ბავშვობიდანვე ძალიან კარგი მუსიკალური მომზადება. ეს არის სფერო, სადაც მომღერალი ერთი მიმართულების წარმომადგენელი არ უნდა იყოს, რადგან რეპერტუარიც საკმაოდ მრავალფეროვანია. ზოგადად, საგუნდო მუსიკა ამოუწურავია. ჩვენ ვცდილობთ, რომ საინტერესო კოლექტივად ჩამოვყალიბდეთ, უფრო საინტერესოდ, ვიდრე დღეს ვართ. ყველაზე მთავარი არის ის, რომ ჩვენ ქართული მუსიკა, კულტურა და, რატომაც არა, მსოფლიო კულტურაც, სხვადასხვა ერს გავაცნოთ და ამისთვის საკმაოდ ბევრს ვისარჯებით.

გუნდი საინტერესოა იმიტომ, რომ შერეულია: არიან გოგონებიც და ვაჟებიც, რის გამოც შესაძლებლობები მეტია. ძალიან ბევრი ტიპის გუნდი არსებობს, მაგრამ შერეული ტიპის გუნდის სიღამაზე ზუსტად ტემბრთა ფერადონებაშია. ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ ჩვენ ვცდილობთ მოვიცვათ ყველა საუკუნე-საიდანაც დაიწყო ათვლა საგუნდო მუსიკისა და შევასრულოთ ის, რაც დღეს პოპულარულია. მთავარი ამოცანა კი ისაა, რომ ეს ჯანრი შესაბამისად დაფასებული და მეტად პოპულარული იყოს, - გვიყვება ზვიად ბოლქვაძე და რეპეტიციას უბრუნდება.

დირიჟორის შესვლისთანავე ინდივიდუალური რეპეტიციები სრულდება და ისევ ჩვეული რიტმით გრძელდება ყველაფერი - 25 ხმა ერთ პარმონიაში იმალება.

„მუსიკა სამყაროს აძლევს სუნს, ვინებს ფრთებს, მუნს ფანჯარებს ფრენის საშუალებას, ცხოვრებას ჩი ყვედაფურს.“

მეტაფორა



ამასობაში ერთ-ერთი მთავარი ფიგურა გვიერთდება - აფხაზეთის კაპელას დირექტორი ნინა კოვჩიაშვილი, რომელიც თითქმის დაარსების დღიდან გუნდის განუყოფელი ნაწილია და ერთ-ერთი იმათგან, ვინც კაპელის მთავარ საყრდენს წარმოადგენს.

- ქალბატონო ნინა, როდის და როგორ დაარსდა კაპელა?

- თავდაპირველად, 1981 წელს, მუსიკოსმა გურამ ყურაშვილმა სოხუმში ჩამოაყალიბა ბავშვთა ინტერნაციონალური კაპელა, რომელიც 1992 წლამდე არსებობდა. საკმაოდ წარმატებული კოლექტივი იყო - საბჭოთა კავშირშიც და საზღვრებს გარეთაც. 1988 წელს ბელა ბარტოკის საერთაშორისო კონკურსში პირველი ადგილიც კი დაიმსახურა.

უკვე იმის შემდეგ ბატონ გურამ ყურაშვილს შესთავაზეს, რომ ასეთი კოლექტივი თბილისში ჩამოეყალიბებინა და უკვე 2007 წელს კაპელამ თავისი ისტორიის წერა დაიწყო. თავდაპირველად, კაპელა აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ბაზაზე შეიქმნა. ხოლო, 2014 წელს უკვე ცალკე კოლექტივად ჩამოყალიბდა. ძირითად შემადგენლობაში მაშინ 25 კაცი იყო, შემდეგ გაიზარდა 36, მაგრამ ახლა ისევ 25 ვართ. ძალიან ბევრი სხვა პროფესიის იყო: ზოგი ექიმი, ზოგი სტუდენტი. თითქმის არანაირი კავშირი არ ჰქონდათ მუსიკასთან - დღესაც გვყავს ასეთები. ძალიან ბევრმა ნორტიც არ იცოდა.

2016 წლამდე კაპელას ბატონი გურამ ყურაშვილი ხელმძღვანელობდა. ერთად ძალიან ბევრი პრიზი გვაქვს აღებული სხვადასხვა ფესტივალსა თუ კონკურსზე და განსაკუთრებით, მინდა გამოვყო ბელა ბარტოკის საერთაშორისო კონკურსი. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბატონმა გურამმა დიდი საფუძველი დაგვიტოვა. მისი გარდაცვალების შემდეგ ჩვენი დირიჟორი ზვიად ბოლქვაძე გახდა და მგონია, რომ წარმატებით ვაგრძელებთ ბატონი გურამის საქმეს.

- თქვენ როგორ აღმოჩნდით ამ კაპელაში?

- 2008 წელს ისევ დებრეცენში უნდა წასულიყვნენ გასტროლზე. მე ერთ-ერთმა წევრმა უბრალოდ, ბედის ცდა შემომთავაზა. მითხრა, ადამიანი გვკვირდება, რომელიც პირველ სოპრანოს იმღერებსო და ასე აღმოვჩნდი კაპელას წევრი. სიმართლე გითხრათ, არ ვაპირებდი დარჩენას. თუმცა, პირველივე დღიდან ისე მოვიხიბლეთ, რომ კაპელა ჩემთვის ნამდვილი აღმოჩნდა გახდა. იმ წლებში ეს სფერო მივიწყებული იყო. საგუნდო მუსიკა პრაქტიკულად არსად ქდებოდა. მე კონსერვატორია უკვე დამთავრებული მქონდა და რადიკალირად



ვერც წარმოვიდგენდი, თუ ასეთი კოლექტივი არსებობდა. იმ დღიდან აქ ვარ.

- დღესაც მღერით თუ მხოლოდ საორგანოზაციო საქმეებში ხართ ჩართული?

- სიმღერის გარეშე არც შემოიძლია. 2014 წელს, ბატონი გურამის დიდი სურვილით დირექტორი გახდი, თუმცა დღესაც არ ვიცი, მე რატომ ამარჩია. პირველ რიგში, რა თქმა უნდა, მომღერალი ვარ, უბრალოდ, ეს მოვალეობაც შევითავსებ. იმედია, მისი იმედები, რაღაც თვალსაზრისით, გავამართლებ.

- რა შეიცვალა ბატონი გურამის გარდაცვალების შემდეგ და როგორ აგრძელებს მის საქმეს ზვიად ბოლქვაძე?

- ბატონი გურამის დაკარგვის ვერ ვეუბნებით - ძალიან დიდი დანაკლისი იყო. მაგრამ, უკვე დღეს დიდი ბედნიერებაა ის, რომ ზვიად ბოლქვაძე ჩვენთანაა. ალბათ დმერთის საჩუქარიც იყო, რომ ის ბატონი გურამის საქმის გამგრძელებელი აღმოჩნდა. თავიდან ძალიან განვიცდიდი და ეჭვი მეპარებოდა - შევძლებდით თუ არა გაგრძელებას. არ მეგონა და ვერ წარმოვიდგინა, ჩვენი მანსტროს შემდეგ ვინ უნდა მოსულიყო. მისთვის კაპელა ყველაფერი იყო - ის შეიღვივებოდა და ძალიან დიდი ბედნიერება, რომ ჩვენ ამ საქმეს ვაგრძელებთ. არ ვიცი, ამას ბედისწერა ჰქვია, თუ განსაკუთრებული საჩუქარი, მაგრამ ეს ასეა - ზვიადთან ერთიერთობასა და მუშაობას სხვაგვარად ვერ ვუწოდებ. მისი წყალობით გვაქვს საშუალება, რომ ვიმღეროთ ის ნაწარმოებები, რომლებიც ახლა - აქვე იქმნება. მგონია, ერთეულები იბადებიან ასეთი ნიჭით. ამ ყვე-



ლაფერს იშვიათად ვამბობ, მაგრამ მართლაც გენიოსია. ვფიქრობ, რომ ძალიან ბევრს გააკეთებს კიდევ - არასდროს ჩერდება.

- აფხაზეთის კაპელას თბილისში შექმნის იდეა ალბათ იმასაც გულისხმობდა, რომ ის დეგენერაციისგან ყოფილიყო შემდგარი. რამდენად გახდა ეს შესაძლებელი?

- ადამიანს, რომელიც ასეთ კაპელაში მღერის ან სურს იმღეროს, საკმაოდ ბევრი თვისება უნდა ჰქონდეს: მუსიკალურობა, კომუნიკაციის უნარი, გუნდურობა, სმენა, ხმა და სხვ. ამიტომაც, ცოტა რთულია, რომ კოლექტივში ყველა დეგენილი იყოს, მაგრამ როცა კაპელა დაარსდა, ეს იდეა ნამდვილად იდო. თუმცა, შემდეგ ბრილიანტებივით შევკრიბეთ ყველა და ასე მოვივივართ წლობით.

- დროსთან ერთად, ალბათ, ძირითადი შემადგენლობაც იცვლება. რთულია, როცა „ოჯახის წევრი“ მიდის?

- ეს არის ურთულესი პროცესი, როცა გუნდს რაღაც მიზეზის გამო რომელიმე წევრი ტოვებს. ხშირად ამბობენ, მღერი და აი, სად მიშაობო? ვერ აღიქვამენ, რომ ეს შეიძლება ძირითადი და ერთადერთი საქმიანობა იყოს. სამწუხაროდ, ვერაინ ხვდება, თუ რამდენად რთული პროფესიაა. ძალიან დიდი შრომაა საჭირო, ხანამ სრულყოფილებამდე მიხვალ და როცა ამ გზაზე რომელიმე „ბრილიანტი“ კომპოზიციიდან გამოდის, ეს ძალიან რთულია. მაგალითად, როცა ხმაში არის ორი ადამიანი და ერთი მიდის, ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ იმას, ვინც რჩება, საყრდენი აღარ აქვს. შემდეგ ემატება უზარმაზარი

რეპერტუარი და ახალ წევრს გარკვეული დრო სჭირდება, რომ კოლექტივში ჩაჯდეს. თან მხოლოდ კი არ უნდა ისწავლოს არსებული რეპერტუარი, არამედ უნდა შეასრულოს ისე, როგორც



„უნდა შესრულდეს“.

- პირველი კოლექტივიდან დღემდე ვინ შემორჩა კაპელაში?

- რაც ყველაზე მთავარია, ჩონჩხი დარჩა. ყველა ხმაში, რომ არის თითო ადამიანი, ეს უკვე ძალიან ბევრს ნიშნავს. თუ ყველა ხმიდან საყრდენი წავა, ეს ძალიან დიდი სირთულე იქნება. მაგრამ, რადიკალირად ვცდილობთ, რომ ყველაფერი შედგეს. ვერც ვამბობ რომ კაპელა ჩემი ცხოვრების ნაწილია, რადგან ის მთელი ჩემი ცხოვრებაა. აქ მეტ დროს ვატარებ, ვიდრე სახლში.

ახლო წარსულში ერთ-ერთ წევრს იმის გამო მოუწია ისრაელში წასვლა, რომ აქ ფინანსური მდგომარეობა არ აკმაყოფილებდა. როცა მეორე სამსახურიც არ გვაქვს, ყველაფერი მეტად რთულდება. ვერ ვეუბნა კაპელიდან წასვლას და ყოველდღე მწერს. თითქოს ჩემი რაღაც ნაწილიც მას გაყვა. 2008 წელს ჩვენ პატარები ვიყავით და ერთად მოვედით აქამდე.

- წლებია უკვე საგუნდო კაპელა თავის ისტორიას წერს. რა სირთულეები გხვდებოდათ ამ წლების განმავლობაში?

- იყო დრო, როცა დარბაზიც არ გვქონდა და ნორტი საბარკულით დამქონდა. ხან მემანისვილის დარბაზში გვქონდა რეპეტიცია, ხან სად და ხან სად. ყოველდღე ინდივიდუალურად ვატყობინებდი რეპეტიციის ადგილს ყველას.

ძალიან ბევრი დაბრკოლება გადავლახეთ. აქედან ყველაზე რთული ფინანსური პრობლემებია. ურთულეს პირობებში ვმუშაობდით - სიცივეშიც და სიცხეშიც.

- რა შეიცვალა დღეს და როგორ მომავალს ხედავთ?

- ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ წარმატებით განვავრდობთ საქმიანობას. ძალიან გვეხმარება აფხაზეთის ავტონომიური




რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო. მათი დახმარებითა და ერთობლივი ძალისხმევით გვაქვს ჩვენი სარეპეტიციო დარბაზი. საგუნდოს აქვს თავისი სპეციოვია, რადგან ყველა ხმა თანაბრად უნდა ქდებოდეს და ამას შესაბამისად მოწოდებით დარბაზი სჭირდება. შარშან გაკეთდა ეს ჭერი, რომლისთვისაც პოლანდიდან სპეციალისტები გვეყავა ჩამოყვანილი - ასეთი საქართველოში არ გაკეთებულა. ჭერი სპეციალური მასალითაა მოპირკეთებული, რომელიც უზარმაზარი კონტინენტით ჩამოიტანეს. შეიძლება თითქმის, პირველი ექსპერიმენტი ჩავატარეთ აქ. დღეს, ჩვენ იმის ფუფუნება გვაქვს, რომ ასეთ დარბაზში ჩავატაროთ რეპეტიცია.

- თქვენ აზრით, წარმატების წინაპირობა რა არის?

- თავგანწირვა და უზარმაზარი სიყვარული სჭირდება ამ საქმეს. ახლა 5-6 საათიან რეპეტიციებზე გადავდით, რადგან კონცერტისთვის ვემზადებით. ეს არ არის ადვილი. ჩვენ ახლა სტრასბურგში მივმგზავრებით. დემოკრატიის მერვე მსოფლიო ფორუმს გაიხსნით და მგონია, ასეთი პრეცედენტი ჯერ არ ყოფილა. დღეს ეს ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენაა. მომავლის იმედით ვცხოვრობთ.

ჩვენთან საუბრის შემდეგ, რამდენიმე წამში ქალბატონი ნინაც რეპეტიციას დაუბრუნდა და გუნდი შეიკრა. რეპეტიცია გრძელდება, რადგან წინ კონცერტებით დატვირთული დღეებია. 25 კაციან კაპელაში თითოეულის ხმა განსაკუთრებულად, თუმცა მაინც ერთიანად ქდებს, რადგან ეს არის ადგილის, სადაც პირველი ხმა მეორეს გარეშე არ არსებობს. აქ ყველა შესრულება თეატრალურ დადგმას ჰგავს. აქ მიმიკა და მოძრაობა მუსიკის განუყოფელი ნაწილია. აქ 25 განსხვავებული ხმა ერთად ქმნის პარმონიულ მრავალფეროვნებას.





სახალხო პოეტი - დიმიტრი გულია

27 ოქტომბერი აფხაზეთის ენის დღეა. ამ თარიღის აღსანიშნავად აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და უმაღლესი საბჭოს წევრებმა დიმიტრი გულიას ხსოვნას პატივი მიაგეს და მისი ძეგლი ყვავილებით შეამკეს. 28 ოქტომბერს კი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ინიციატივითა და სამინისტროს კულტურისა და მიმდინარე ღონისძიებების სამსახურის ორგანიზებით, დიმიტრი გულიას 145-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო გაიმართა. სიტყვით გამომსვლელებმა ისაუბრეს დიმიტრი გულიას ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, აფხაზეთის ენის დაცვის თვალსაზრისით განხორციელებულ ღონისძიებებზე. ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდმაყურებელთა თეატრის მსახიობებმა წარმოადგინეს თეატრალიზებული დადგმა, წაიკითხეს დიმიტრი გულიას ლექსები და გამონათქვამები, გაიხსენეს მისი მოღვაწეობის უმთავრესი მომენტები. ქართული და აფხაზეთი ხალხური სიმღერები შეასრულეს აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიურმა ანსამბლმა „აფხაზეთი“, კვარტეტმა „აფხაზეთი“, აფხაზეთის კულტურისა და ხელოვნების ცენტრთან არსებულმა ბავშვთა ვოკალურ-ინსტრუმენტალურმა ანსამბლმა „გუმბათი“. წარმოდგენილი იყო აფხაზეთი ხალხური ცეკვაც, რომელიც აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიურმა ანსამბლმა „აფხაზეთი“ შეასრულა.

ნანუკა ქარიბაია

„პოეტი იმ მდინარეს ჰგავს, რომელიც მიწის წიაღიდან იმისთვის გადმოისკდარა, რომ ადამიანებს სინათლე და ძალა ახუქოს“- ეს სიტყვები დიმიტრი გულიას ეკუთვნის, სახალხო პოეტს, რომელმაც აფხაზეთი ლიტერატურას ჩაუყარა საფუძველი.

დიმიტრი გულია ადრეული ასაკიდანვე შეუდგა პედაგოგიურსა და საზოგადოებრივ საქმიანობას. მიუხედავად იმისა, რომ თავისი ცხოვრების განმავლობაში სასწავლებლებში მხოლოდ 5 წელი გაატარა, ჯერ კიდევ 17 წლისამ მოახერხა და მასწავლებლის ხარისხი მოიპოვა. განათლება მიიწინააღმდეგებდა მთავარ საშუალებად, რაც აფხაზ ხალხს უკეთეს მთავალს მოუტანდა, შესაბამისად, ამ საქმეს დიდი ენთუზიაზმითა და სიყვარულით ეკიდებოდა. აფხაზეთის სოფლებში დაწყებითი კლასების მასწავლებლად მუშაობდა, ასწავლიდა სოხუმის ქალთა გიმნაზიაში, მთიულეთსა და სოხუმში, სახელმწიფო სემინარიასა და ტექნიკუმშიც. 1892 წელს კი, უკვე 18 წლისამ, თავის მასწავლებელთან, კონსტანტინე მაჭავარიანთან, ერთად ასოების პეტრე უსლარისეული მოხაზულობის საფუძველზე აფხაზეთის ენის ანბანი შეადგინა.

დიმიტრი გულიას აზრით, ეროვნული თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად უმნიშვნელოვანესი იყო საკუთარი ენის, დედაენის, არსებობა, მისი განმტკიცების მთავარ საშუალებად კი მხატვრული ლიტერატურა მიიჩნედა. ნაწარმოებების შექმნისას ავტორის შთაგონების მთავარი წყარო ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშები იყო, აფხაზი ხალხის ყოფა და პრობლემები კი მისი შემოქმედების მთავარი დერძი. სწორედ მათი მებრძოლი სული და თავისუფლებისაკენ სწრაფვა გამოხატა ლექსების პირველ კრებულში „ლექსები და ზაირები“, რომელიც 1912 წელს გამოვიდა.

დიმიტრი გულიას შემოქმედებაში ასევე განსაკუთრებით აისახა მისი ცხოვრების ერთ-ერთი უმძიმესი პერიოდიც, „მუჰაჯირობა“, როდესაც

მე-19 საუკუნის 60-იან-70-იან წლებში კავკასიის მეკიდრე მოსახლეობა, მათ შორის გულიების ოჯახიც, იძულებით გადასახლდნენ ოსმალეთის იმპერიაში. მიუხედავად იმისა, რომ სამშობლოში დაბრუნება მოახერხეს, უსახლკარობამ, შიმშილმა, წყურვილმა, იმ სირთულეებმა, რაც გადასახლებაში ყოფნისას გამოიარეს, დიდი ზეგავლენა მოახდინა მასზე. მან სამშობლოსაგან იძულებით მოწყვეტილი აფხაზი ხალხის ტრაგედია გადამოსცა ავტობიოგრაფიულ პოემაში „ჩემი კერა“.

ლექსებთან ერთად დიმიტრი გულია პროზაულ ნაწარმოებებსაც წერდა. 1918 წელს გამოვიდა მისი პირველი მოთხრობა „უცხო ცის ქვეშ“, რომელმაც სათავე დაუდო აფხაზურ პროზას. ეს მოთხრობა აფხაზურ პროზაში რეალიზმის, ფაქტების შეუღლამაზე გადმოცემის პირველი მცდელობა იყო. ნაწარმოებში ავტორმა ყურადღება გაამახვილა აფხაზი გლეხობის მიმე მდგომარეობასა და იმ დროს მოქმედ ტრადიციებზე, რომელიც, ძუძუმტების მოტოვით, თავადებს გლეხების დამორჩილებას საშუალებას აძლევდა.

დიმიტრი გულიამ აფხაზეთი ლიტერატურის ყველა ძირითად ვარს ჩაუყარა საფუძველი. ამ მხრივ პირველი ფაქტია გამოჩენის, რომ ერთერთი პირველი აფხაზი რომანი „კამატი-იტი“, რომელიც 1940 წელს დაიბეჭდა, სწორედ მას ეკუთვნის. აფხაზურ ლიტერატურაში ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც რომანის მთავარ გმირს ქალი წარმოადგენდა. ავტორმა კამატიის სახეში ასახა მშრომელი გლეხების გამოღვიძება და მათი შეუპოვარი ბრძოლა მწაგვრელების წინააღმდეგ. ნაწარმოებში დიდი სიხუსტითაა აღწერილი აფხაზთა საცხოვრებელი, სამოსი, ტრადიციები, სიმღერა, ცეკვა, შესაბამისად, მას რეკონსტრუქციული აფხაზეთის სინამდვილის ამსახველ მხატვრულ ენციკლოპედიასაც კი უწოდებენ.

მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მის შემოქმედებაში საბავშვო პოეზიასაც, 1958 წელს საბავშვო ლექსების ციკლი „ჩვენს სოფელში“ გამოაქვეყნა.

პარალელურად მთარგმნელობით საქმიანობაც ეწეოდა. აფხაზურ ენაზე თარგმნა სახარება, აკაკი წერეთლის, ილია ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ევანგელ ნინოშვი-

ლის, ალექსანდრე ყაზბეგის, გიორგი ლეონიძის, ალექსანდრე პუშკინის, მიხეილ ლერმონტოვის და სხვათა ნაწარმოებები. მან ასევე თარგმნა „ვეფხისტყაოსანიც“, რომელიც, თავისი რიტმის სიხუსტით, ძალიან ახლოს იყო დედანთან. ეს თარგმანი 1941 წელს გამოვიდა.

გარდა მწერლობისა, დიმიტრი გულია იყო რედაქტორი პირველი აფხაზეთი გაზეთისა „აფსნი“ (აფხაზეთი), რომელიც 1918 წელს გამოვიდა. ამ გაზეთმა აფხაზეთს მშობლიურ ენაზე მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზე საუბრის საშუალება მისცა.

დიმიტრი გულიამ სოხუმის სამასწავლებლო სემინარიაში შექმნა პირველი აფხაზეთი ლიტერატურული წრეც, სადაც დამწყებ მწერლებს ლექსებისა და მოთხრობების წერის მთავარ პრინციპებს ასწავლიდა. მის სახელს უკავშირდება ასევე აფხაზეთი თეატრალური ხელოვნების წარმოშობაც. სემინარიის ბაზაზე, 1919 წელს, ჩამოყალიბდა დრამატული წრეც, რომლისთვისაც თარგმნა დავით აწყურელის „ორი მშვიტი“, გრიგოლ ბუხნიკაშვილის „შეშინებული ანთიმოზი“.

დრამატული წრის შემდეგ იგი პირველი აფხაზეთი, მოსწავლეთაგან შემდგარი, მოძრაი თეატრალური ჯგუფის დირექტორი, რეჟისორი და სუფლიორიც გახდა, თარგმნიდა პიესებს და ახალგაზრდა მსახიობებთან ერთად დადიოდა სოფელ-სოფელს, სადაც წარმოდგენებს მართავდნენ. 1940-იან წლებში თავადაც შექმნა დრამატული ნაწარმოები „ანტილეები“, რომლისთვისაც აფხაზეთი ლიტერატურაში სოციალურ-ფიქციონარული დრამის დაუფლო სათავე.

იგი ასევე აქტიურად იკვლევდა აფხაზეთის ისტორიას, ფოლკლორს, ეთნოგრაფიას, ენას, აფხაზი ხალხის ყოფას, ატროვებდა, ხეწდა და დახაზებულად ამზადებდა ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს. 1907 წელს გამოვიდა დიმიტრი გულიას მიერ აფხაზეთისა და რუსულ ენებზე შედგენილი აფხაზეთი ანდაზებისა და გამოცანების კრებული, 1920 წელს აფხაზეთ-რუსული და რუსულ-აფხაზეთი ლიტერატურული ტერმინოლოგიის ლექსიკონი, 1927 წელს აფხაზეთი გრამატიკის მასალები, 1933 წელს კი აფხაზეთი ენის ორთოგრაფია. 1925 წელს გამოიცა მის მიერ დაწერილი „აფხაზეთის ისტორია“.

მნიშვნელოვანია დიმიტრი გულიასა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კავშირიც. 1924 წელს ივანე ჯავახიშვილმა იგი აფხაზეთი ენის სალექციო კურსის წასაკითხად მიიწვია. 14 მარტს გაიმართა პროფესორთა საბჭოს სხდომა, სადაც დიმიტრი გულია ლექტორად დაამტკიცეს, იმავე წლის 23 სექტემბერს კი მისი ბინითა და სამკაზრო თანხით უზრუნველყოფის საკითხი განიხილეს. ამის შემდეგ ჩატარა რამდენიმე საცდელი ლექცია, რომლებსაც ივანე ჯავახიშვილი, აკაკი შანიძე, სიმონ ჯანაშია, გიორგი ახვლედიანი და არნოლდ ჩიქობავა ესწრებოდნენ. ლექციებმა წარმატებით ჩაიარა და მანაც უნივერსიტეტში აფხაზეთი ენის სწავლება დაიწყო. ამ ყველაფერს დიმიტრი გულიას საშუალება მისცა, რომ უფრო ღრმად დაუფლებოდა ქართულ ენასა და ლიტერატურას, დაუახლოვდა ქართველ მეცნიერებსაც, გამოჩნეულად კი ივანე ჯავახიშვილს, რომელსაც განსაკუთრებით აფასებდა მისი განათლების, პრინციპულობისა და მეცნიერული მოღვაწეობის გამო. ივანე ჯავახიშვილი მუდმივად ამხნევებდა და სტიმულს აძლევდა მას, რომ აფხაზეთი ლექსები ეწერა, თავადაც დიდად იყო დაინტერესებული და აფხაზეთის ისტორიას სწავლობდა. მათი მეგობრობა და საქმიანი ურთიერთობა მთელი ცხოვრების განმავლობაში გაგრძელდა.

უნივერსიტეტში მუშაობის შემდეგ, უკვე 1926 წელს, დიმიტრი გულია დაბრუნდა სოხუმში, სადაც აფხაზეთის მთავრობის საგანგებო მთარგმნელად დაინიშნა. 1929 წელს საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული საზოგადოების წევრად და აფხაზეთი ენისა და ლიტერატურის აკადემიის თავმჯდომარედაც აირჩიეს, 1937 წელს კი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი და აფხაზეთის სახალხო პოეტის წოდება მიენიჭა.

დიმიტრი გულიას აფხაზეთი ლიტერატურის პატრიარქს უწოდებდნენ. იგი ამბობდა: „უნდა წეროთ სიმართლეს, ეს იმას ნიშნავს, რომ თვით ცხოვრება გიკარნახებს, რაზეც უნდა წეროთ, თუკი გულისყურით მოუხმენთ მას. ცხოვრება განუწყვეტელ მოძრაობაშია. უნდა შეძლოთ იმის დანახვა, თუ საით მიდის იგი, რათა მართლად ასახოთ“.

იგი მიიჩნევდა, რომ ქართველებსა და აფხაზებს ბევრი აქვთ საერთო და წერდა: „ჩვენ რომ ვთქვათ, მოძვე ერები ვართო, ეს ცოტაა, ჩვენ ერთი ფსიქიკის, ერთი ადათის, ერთი წესის, ერთი ფსიქოლოგიის ერი ვართ. ქართველს, არა მგონია, ვინმე ჰყავდეს უფრო ახლოდღივი მძა, ვიდრე აფხაზი, აფხაზებსაც ასე მიანდობთ ქართველი და ჩვენ ამ მძობამ შეგვიანა. ვინც ამ მძობას შლის, რუსთაველის სიტყვებით რომ ვთქვათ... იგი თავისა მტერია“, „აფხაზი, რომელიც სახლს აიშენებს და ქართველის ეხოსსაც არ გაჭრის ფანჯარას, ის აფხაზი არ არის“.

დიმიტრი გულიასათვის მთავარ ღირებულებებს თავისუფლება, შრომა, მუდმივი განვითარება წარმოადგენდა. მისი სურვილიცა და მიზანიც კი ამ სიტყვებშია გამოხატული:

„რომ ქვეყანაზე უბედობით არავინ სწუხდეს, გვავესებდეს შრომა იმელებით, ცხოვრება დულდეს!“

„კონფლიქტის დერეფნებში“ გამოფენა მხსენიერების არქივიდან


„კონფლიქტის დერეფნებში – აფხაზეთი 1989-1995 - ასე ეწოდება თბილისის ლიტერატურის მუზეუმში წარმოდგენილი გამოფენას, რომელიც დამთავალიერებელს ჩვენს ქვეყნის ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პერიოდის შესახებ მოუთხრობს. გამოფენა ბრიტანული საერთაშორისო ორგანიზაცია **Conciliation Resources**-ის და შეიქმნა დონდ **swisspeace**-ის მიერ ხუთი წლის წინ დაწყებული პროგრამის ნაწილია, რომელმაც ქართველებთან ერთად, აფხაზი მკვლევრებიც მუშაობენ. ამ პროგრამის ფარგლებში დღესაც გრძელდება კოლექტიური არქივის შექმნის პროექტი, რომლის უმთავრესი ამოცანაც საზოგადოებისთვის ისტორიის მიუკერძოებელი და დეტალური თხრობაა.

ნათალია პატარკახაშვილი

„ჩვენი მთავარი ამოცანაა, რეალური ისტორია მოუყვეთ საზოგადოებას, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებს, რომლებიც ამ მოვლენების უშუალო მონაწილეები არ ყოფილან და ამბები მხოლოდ გადმოცემით იციან. მონაწილე, როგორც წესი, მითოლოგიზირებულია და ყველა მხარე თავის მითს ჰყვება. ჩვენი მიზანი კი ყველა მხარის ისტორიის და სიმართლის ჩვენებაა.“ – ამბობს გამოფენის ერთ-ერთი ორგანიზატორი, კონფლიქტოლოგი პატარკახაშვილი.

ქართულ-აფხაზეთი კოლექტიური არქივი, რომლის ძალიან მცირე ნაწილიცაა წარმოდგენილი გამოფენაზე, ათასობით ექსპონატს აერთიანებს. მათ შორის უნიკალური ფოტო, ვიდეო და აუდიო მასალები. გამოფენა დამთავალიერებელს საშუალებას აძლევს, გაეცნოს კონფლიქტის მონაწილე ადამიანების ინტერვიუებს, მოგონებებსა და კომენტარებს, მოუსმინოს იმ ადამიანების ისტორიებს, რომლებმაც მოვლენების სიმწვავე საკუთარ თავზე გამოცადეს.

გამოფენა სამ ოთახშია განთავსებული და შეიარაღებულ კონფლიქტამდე, საომარი მოქმედებების და ომის შემდგომ



პერიოდებზე დეტალურად მოგვითხრობს. პირველ ოთახში ომის შემდგომი მდგომარეობის ამსახველი მასალაა განთავსებული, სადაც დევნილების წერილებს, კონფლიქტის მონაწილეების პირად ისტორიებს და მათი ცხოვრების ამსახველ ფოტომასალებს შეხვდებით. მეორე ოთახი ომის მიმდინარეობას მოიცავს და დამთავალიერებელს ვიდეო და აუდიო მასალების დახმარებით ისტორიის ამ მონაკვეთს დაწვრილებით ადუწერს. აქ, კონფლიქტის მონაწილე რიგითი მოქალაქეების ჩანაწერებთან ერთად, იმ პოლიტიკოსების და სამხედროების ინტერვიუებსაც მოისმენთ, რომლებიც უშუალოდ იყვნენ ჩართულნი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. მესამე ოთახი კი კონფლიქტის წინა, მოსამზადებელ პერიოდზე მოგვითხრობს.

აღსანიშნავია ისიც, რომ გამოფენის ორგანიზატორები ყველას, ვისაც ამ პერიოდის ამსახველი დოკუმენტები, ჩანაწერები, ფოტოები, ან უბრალოდ მოგონებები აქვს შენახული, არქივის შექმნის პროცესში თანამშრომლობას სთავაზობს.

„მიუხედავად იმისა, რომ გამოფენა სამეცნიერო ხასიათისაა, ჩვენ ნებისმიერი ადამიანისგან ვიდებთ მასალებს, თუნდაც ეს იყოს ზეპირი მოგონებები.“ – ამბობს მკვლევარი ვანო აბრამაშვილი.

ორგანიზატორები გამოფენის ჩატანას რეგიონებშიც გეგმავენ, რათა ეს უნიკალური ექსპონატები საზოგადოების უფრო დიდი ნაწილისთვის გახდეს ხელმისაწვდომი, მანამდე კი, მაქსიმალურად ცდილობენ მასალების სისტემატიზაციის და გაციფრულების პროცესის დაჩქარებას. ამ დროისთვის, საზოგადოებას მასალების გარკვეული ნაწილი ნახვა უკვე შეუძლია გამოფენის ოფიციალურ ფაიცილოკ-გვერდზე.

„ეფექტობით, რომ გაციფრულების შემდეგ ინტერესი კიდევ უფრო გაიზარდეს. ამის დასტურია ისიც, რომ არქივის მხადების პროცესში შექმნილმა ვიდეომ, რომელშიც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი გივი ლომინაძე არძიზბასა და გამსახურდიას შეხვედრაზე საუბრობს, საზოგადოების დიდი ინტერესი სწორედ ინტერნეტსივრცეში განთავსების შემდეგ გამოიწვია.“ – განაცხადა ვანო აბრამაშვილი.

გამოფენის ორგანიზატორების თქმით, რეალური ფაქტებით ჩანეწები ისტორია ახალ თაობას საშუალებას მისცემს, გაიაროს და გამოასწოროს ის შეცდომები, რომლებიც წინა საუკუნეში დაუშვა ორივე მხარე, მხოლოდ ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი ამ დაძაბული და კონფლიქტიური მდგომარეობიდან გამოსვლა. გამოფენა, რომელიც საზოგადოებისთვის არქივის გაცნობის პირველი მცდელობაა, დამთავალიერებელს თემატურ დისკუსიებსა და ღონისძიებებში აქტიურად ჩართვის და საკუთარი მოსაზრებების დიად დაფიქსირების საშუალებასაც აძლევს.

ქართულ-აფხაზეთი კოლექტიური არქივიც მუშაობა აქტიურად მიმდინარეობს და ეტაპობრივად მრავალი ექსპონატი მდგომარეობს. შეგროვებული მასალები ამჟამად თბილისში ინახება, პროექტის დასრულების შემდეგ კი შეივცარიაში განთავსდება.

ბელა ჩეჰანავა: "სადაც არ უნდა ვიყო, „სახლში“ ვერ ვგრძნობ თავს"

„თქვენ ახალციხეში ცხოვრობთ? - მეც არ ვიცი, სად ვარ, სად ვცხოვრობ. კი, ახლა აქ ვარ, მაგრამ სადაც არ უნდა ვიყო, „სახლში“ ვერ ვგრძნობ თავს. თითქოს, ყველგან დროებით ვარ. ყოველ მეორე ღამეს მაინც მესიზმრება სოხუმი, ჩემი ქუჩა... მხოლოდ ერთი ზურგჩანთით წამოვედი, ფოტოებიც კი მერე გამოგვიგზავნეს. ყველაფერი იყო - ახალციხეც, თბილისიც, მამისეული „ოდაბადეც“ სამეგრელოში, მაგრამ ვერსად დავფუძნდი. გული იმაზე მწყდება, რომ ვიცი, ალარ აღდგება ის ურთიერთობა და იდენტობა, რაც სოხუმში მქონდა,“ - ასე იწყებს საუბარს სოხუმელი მწერალი გელა ჩეჰანავა და თავის „დროებით“ სახლში, ახალციხეში გემასპინძლობს.



თამუნა ზარანდი

სოხუმთან განშორებიდან 26 წელი გავიდა. ზუსტად აღდგენილი ვლასის მოუწია დედასთან ერთად ქალაქის დატოვება. მანამდე კი იყო საინტერესო, განსხვავებული და მხიარული დღეები, ისეთი, ყველა სოხუმელი რომ ცრემლნარევი დიმილითა და ხმაში შეპარული სიამაყით იხსენებს. როგორც თავად ამბობს, საუბარზე უკეთ ვერა გამოსდის. კითხვაზე, რატომ იყო სოხუმი ასეთი განსაკუთრებული, მარტივად გვახსენებს: „თუ არ გინახავს და არ გიგრძნობს ეს ქალაქი, ვერ გადმოსცემ და ვერც ვერაფერს გაიგებ, რა იყო სოხუმი. ეს იყო რაღაც სხვა, აბსოლუტურად განსხვავებული. არ არსებობს სხვა რამ, რომ შეგადარო და გითხრა, აი, ასეთი იყო-მეთქი“.

სოხუმს, რომელსაც ვერაფერს ადარებს, მის შემოქმედებაშიც დიდი ადგილი უჭირავს. თბილისი გამოქვეყნებული რომანისა და ხუთი პროზაული კრებულის ავტორი, რომელიც რამდენიმე პრემიის ღაურავატია, მიხნევეს, რომ მწერალს ბევრი არაფერი - აზრები, სიმშვიდე და კალამი სჭირდება. მკითხველი მას თავად იპოვებს კამერების, ცისფერი ეკრანებისა და ბილბორდების გარეშე.

„მანსოვს, ერთხელ ჩემი და მოვიდა და მომიყვია, როგორ კითხულობდნენ ტრანსპორტში მის გვერდით მყოფი ახალგაზრდები ჩემს რომანს და მერე როგორ მათვალდებოდნენ. ისეთი ალტერნატივები იხსენებდა ამას - ეს იყო ჩემთვის ყველაფერი.“

– ისხენებს და მწერლურად ჩაიღიმებს – ჩემი სიამაყით, ისე, რომ ჩვენ ვერ შევამჩნიოთ... აფხაზეთზე პირველი მოთხრობა 25 წლის წინათ დაწერა, ჯერ კიდევ მაშინ, როცა მთე-

ლი სიმპაფრით აღიქვამდა ომის ტრაგედიას და თავს კვლავ „დროებით დევნილად“ მიიჩნევდა. მოთხრობა, სახელად „სნაიპერი“, რომელიც ნამდვილ ისტორიაზე დაფუძნებული ამბავს მოგვითხრობს, ჯერ არ გამოქვეყნებია. ამას თავისი მიზეზები აქვს, რასაც ასე გვიხსნის: „ალბათ ჯერ არ დამდგარა ამის დრო. გულით და გულსიტყვილითაა დაწერილი და ამიტომ. შეიძლება იხილოს კიდევ ოდესმე მისი სინათლე“.

უკვე გამოქვეყნებულ მის მოთხრობებშიც აფხაზეთი და სოხუმი მუდამ აქტუალური თემაა, ხან პირდაპირ, ხანაც ირთბად. მოსაყული ბევრი აქვს. ენგურს მიღმა გატარებულ 26 წელს სუვერენიტეტი დიმილით იხსენებს და მის მიერ ნათქვამი ყოველი „რა გითხრაო, აბას“ მიღმა ქართულ-აფხაზეთი მეგობრობის უამრავ ისტორიას მალავს, რომ ვერ ამოურჩევია, რომელი დააწყო.

უბანი და ქუჩა, სადაც სოხუმში ცხოვრობდა ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს, იხსენებს, როგორ აკეთებდა მამა მეზობელი აფხაზის საქორწილო სუფრისათვის მეგრულ ღვინო, როგორ დასცინოდნენ ყველანი ერთად პოლიტიკოსებს მათი აბსურდული გამოხატულებებისათვის. მაშინაც კი, როცა სიტუაცია უკვე გამწვავებული იყო, გულაუთაში ჩასულები ადგილობრივ აფხაზ მოხუცებს მუდამ ქართულად ან მეგრულად ესაუბრებოდნენ. ეს იყო სრულიად აპოლიტიკური ურთიერთობა, რომელიც პოლიტიკამ დაანგრია.

ისხენებს, რომ ომამდე სოხუმელ ახალგაზრდებს პოლიტიკა არც აინტერესებდა... სანამ ზღვისპირა კავშირში ჯდომდა და ხელში ეყვინ ან ღვინის ჭიკები იარაღებდა არ შეცვალა, არაფერს არავის ეკითხებოდა, აფხაზი იყო, ოსი, რუსი, სომეხი თუ გადამთიელი. წერალს ხმაში სევდა ეპარება: „დღესაც“ ერთკა კავის, რომელშიც ხშირად ვიკრიბობოდით ყველანი ერთად. ეს მეგრე, ომის დროს გაიშკრა, ვინ ვინ იყო. აზრი არა აქვს იმის ახსნას, იქ როგორ

ჩქვდა ცხოვრება და რა სხვანაირი იყო ყველაფერი, ვერ გაიგებენ. ჩემი შვილებიც ვერ იგებენ. დღეს მათაც რომ ჰკითხო, სოხუმელი ვარო, არ გაიპასუხებენ. იციან მთელი ეს ისტორია, მაგრამ თავს ახალციხელად უფრო მიიჩნევენ, ვიდრე სოხუმელად იმით, რომ მათ არ იციან, რა იყო სოხუმი, მათ არ უგრძნობიათ მთელი ეს ტკივილი...“

ქუჩაზე ჩამწკრივებულ კერძო სახლებში სხვადასხვა ენაზე საუბრობდნენ, მაგრამ ერთად შეკრებილებს ბევრი ჰქონდათ საერთო - ენაც, საფიქრალ-სადარდებელიცა და სამადლობელიც.

ამბობს, რომ, როცა თავისი შვილების ასაკისა იყო, სხვებით „დარბოდა“ პორტში მდგარ უცხოურ გემებზე და „მხარს უბამდა“ მოდას, რომელიც „ზღვის პაერს მოჰყავდა“. დღეს უკვე აღარაფერს უკვირს, მაგრამ მაშინ „ვრანგლების“ ჯინსები 220 მანეთად და როკმუსიკა სოხუმის „ვეროპული სიოს“ განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა.

ომამ წაიღო ყველაფერი, გარდა იმედისა, რომ ოდესმე დაბრუნდება სახლში, რომელიც ახლა დამწვარია, მიინახულებს 26 წლის განმავლობაში უნახავ მაშინ საფლავს და კვლავ გაისივრება თავის ქუჩაზე. აი, იმ ქუჩაზე „სანამ სადგურამდე მიხვიდოდი, ხელმარჯვნივ რომ უნდა შეგეხებია“.

მათ შორის საერთო ახლაც ბევრია, მაგრამ - გაუმსხვაველი. შერიგების პერსპექტივაზე მწერალს აქვს თავისი ხედვა და იმედი, რომ ეს ხედვა, თუკი ავასრულებთ, სოხუმში ჩაგვიყვანს - „შინაგანად უნდა დაგვავადო ჩვენ, ნიპილიზმი მოვიშორეთ კონკრეტული თემების მიმართ. ხანდახან თვითონ ვართ აგრესიულები, დადებითი ყოველდღიური პრობლემები სხვანაირად დადებითად, გადამღობილი ადამიანი

სწორად ვერ შეაფასებს წარსულს. შერიგების იდეა მოდის მაშინ, როცა ადამიანური, ნორმალური და მშვიდი ცხოვრებით ცხოვრობ. არეულ ქვეყანაში ყოფნა არც აფხაზს მოუწდება, არც მეგრულს, არც იმერულს არც კახელს“.

ბევრი სოხუმელი იმას დარდობს, დაბრუნების სურვილი და ნოსტალგია არ გაუწელდეთ მის თანაქალაქელებს, ოღონდ მათ არა, ვინაც სოხუმი უნახავს და მისი რიტმი უგრძნობია, მხოლოდ მათ, ვისაც გადმოცემით სმენია „შავი ზღვის მარგალიტზე“: „ჩვენ უფრო გვტყავს, უფრო გვახსოვს, უფრო გვენატრება, ვიდრე ახალ თაობას - აბა, რა დამავიწყებს?! მთელი ბავშვობა იქ მაქვს გატარებული, ომამდე სულ ორჯერ ვარ თბილისში წამყოფი.“

კითხვაზე „რისი თქმა სურდა ავტორს“ საკუთარი შემოქმედებით, მწერალი გვახსენებს: „როცა რაღაცას ვწერ, მგონია, ესაა ის, რისი თქმაც მინდოდა, მერე სხვა რამეს ვწერ და უკვე ის მგონია მთავარი. ახლა ახალ წიგნს ვწერ ჩვენს ქუჩაზე და ვფიქრობ, რომ სწორედ ესაა, რაც მინდოდა მთქმაც“.

ასეა. საქართველოს ენგურს მიღმა დარჩენილი ნაწილი ყოველთვის იქნება 52 წლის მწერლის „მოთხრობის სათქმელი“, ხოლო იქ დაბრუნება - მთავარი ნატვრა.

უსამშობლოობის სავდით



ლიტერატურათმცოდნე მარინე ტურავასათვის ლექსების კრებული „სოხუმი-თბილისი“ არაერთი სამეცნიერო პუბლიკაციის შემდეგ, შემოქმედებითი სფეროში გადადგმული პირველი და წარმატებული ნაბიჯი აღმოჩნდა.

კრებულის წინასიტყვაობის ავტორის, იოსებ ჭუმბურიძის თქმისა არ იყოს, „მარინე ტურავა სოხუმელია, სამშობლოდან სამშობლოში დევნილი“.

„სოხუმი-თბილისი“ პრეზენტაცია, ახლახან ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოებისა და ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ ინიციატივით შედგა. კრებულს მკითხველები და კრიტიკოსები დადებითად გამოხმაურდნენ.

ავტორისათვის კრებული წლების განმავლობაში დაგროვებული დარდისა და მონატრების გამაერთიანებელია. „ასე ადვილად არასოდეს მენერებოდა, ველარ გაეჩერდი“, - ამბობს იგი და დასძენს, რომ კრებულის დაბეჭდვის თანხმობები იმედი სოხუმში ახლის გამოცემას, საოცნებო სათაურით - „თბილისი-სოხუმი“.

მარინა ტურავა ამ დღეებში მუხრან მჭავარიანის სახელობის პრემიითა და დაჯილდოვს მინიატურისთვის, რომელშიც ამბობს: „გამოსაზარებლად მიფრინავდნენ წეროები და უსამშობლოობის სევდა მიჰქონდათ ნისკარით“...

ნირო ყყოიძე

- ქალბატონო მარინე, როგორი იყო კრებულზე მუშაობის პროცესი?
- რეალურად, სოხუმის მერე ლექსი არ დამწერია. სურვილი რომ მიმინდებოდა, კვლავდი. ლიტერატურის კრიტიკოსი ვარ და ეს წერაში ძალიან მიშლის ხელს.
კრიტიკული ვარ საკუთარი თავის მიმართ, თან არც განწყოლა მქონდა, არ მეწერებოდა. ამ 25 წლის მერე თითქოს ყველა დაგროვილი სათქმელი, გრძობა და ემოცია ერთად მომეძალო და ამოხეთქა. რეალურად, 3 თვეში ყველა ლექსი ერთი ამოსუნთქვით დაიწერა. მათ თანდათან ვაკითხებდი ჩემს მეგობრებს, რომლებაც მაიძულეს, რომ გამომეცა. სწორედ მათ გამო, პირველ რიგში, ლიტერატურათმცოდნე და კრიტიკოსი მეგობრებს ვგულისხმობ, გამოვეცი ეს კრებული.
იღბლიანი წივი აღმოჩნდა. არანეგატიური წინასიტყვაობა აქვს, იოსებ

ჭუმბურიძის. სწორედ ის იყო პირველი ადამიანი, რომელმაც ჩემი მეგობრების შემდეგ მოთხრა, რომ აუცილებლად უნდა გამოვიცხადე ეს კრებული. რეალური როსტომ ჩხეიძეა. საკუთარ ლექსს, როგორც ლიტერატურათმცოდნე, ვერ კითხულობ, ვერ ასწორებს. შეგიძლია, ნებისმიერი პოეტის დონე, შესაძლებლობები და მხატვრული მხარე 5 ლექსით განსაზღვრო. საკუთარ ლექსთან დაკავშირებით კი აბსოლუტურად უძლეური ვიყავი. როგორც ექიმები ვერ მეურნადობენ საკუთარ ოჯახის წევრებს, დაახლოებით მსგავსი რამ დამემართა.
- თქვენ არაერთი სამეცნიერო სტატიის ავტორი ხართ. რაში გვმარტობთ თქვენი გამოცდილება ლექსების წერისას?
- რაღაცებში გვხმარება, რომ ვიღაც არ გაიმეორო, თუმცა ქვეყნობის დონეზე მაინც იმეორებ. ლექსს არ უნდა ზედმეტი ინტელექტი და რაციონალიზმი. ლექსში მაინც ემოცია და განცდაა მთავარი. ის ლექსი, რომელშიც რაციონალიზმი ჭარბობს, რეალ-

ურად, არ ვარგა. სოხუმური ლექსები უფრო რაციონალური, ვიდრე - აქ დაწერილები.
- რა სიმბოლური დატვირთვის მატარებელია თქვენთვის კრებულის სახელწოდება - „სოხუმი - თბილისი“?
- რასაკვირველია, ძალიან დიდი დატვირთვა აქვს სახელწოდებას. კრებულში შევიდა სოხუმისა და თბილისში დაწერილი ლექსები. მერე, რადგან „სოხუმი - თბილისი“ ჩამოყალიბდა სათაურად, თავისთავად მოიტანა მატარებლის განცდა. ვიპოვე ძველი ვაგონი, რომელზეც ვწერ სოხუმი - თბილისი. სამწუხაროდ, ვერ ვიპოვე ფოტოს ავტორი. დიზაინი და სათაური კი მე შეკეთა.
- რა განსხვავებაა თქვენთვის შემოქმედებისა და სამუშაო პროცესებს შორის?
- რეალურად, დიდად არ განსხვავდება ეს ორი პროცესი ერთმანეთისგან. ლიტერატურა შემოქმედებაა და მეცნიერება. მთავარია, ინსპირაცია საიდან მოდის. მიყვარს ის ლექსები, რომელთა ინსპირაცია

გაჯერებულია სიმშვილით. ჩვენ პირიქით, სხვანირ ტექსტებს ვწერთ. იქ სიმშვილის ენაზე დააპარაკობენ, სამწუხაროდ, მწერლებიც კი. კავშირი მაქვს იმ აფხაზეთთან, რომლებიც ცხოვრობენ თბილისში და ქართული ორიენტაცია აქვთ.
- შესაძლებლობა რომ მოგეცეთ, აფხაზეთში დაბრუნდებით?
- რასაკვირველია, პირველივე დღეს გავიქცევი. რასაც თბილისში მივალდი პროფესიულად, იმას სოხუმში ვერასოდეს მივალდი. აქ სხვა შესაძლებლობებია, პროფესიულად ბევრად მეტი რამ მომცა თბილისში, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ოდესმე სოხუმზე შევძლებ უარის თქმას. დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი თაობა უნდა დაბრუნდეს იქ.

მიყვარს თბილისი, მაგრამ აქ რომ ვბრუნდები, ვერ ვგრძნობ, რომ ჩემი ქალაქია. ეს არის თავშესაფარი, მაგრამ არა - სახლი. სახლის ადგილი მაინც ცარიელია ჩემს სულში, ამიტომ აუცილებლად დაგბრუნდები.

- როგორ გეხატებათ თქვენი, როგორც პოეტის მომავალი?
- დაუგეგმავად მოხდა კრებულის გამოცემა. ჩემი თვითმიზანი წიგნის გამოცემა არასოდეს იქნება. 25 წლის შემდეგ მივხვდი, რომ პოეზია ჩემი ფსიქოლოგიაა. აღმოჩნდა, რომ ძალიან ბევრი ადამიანის სათქმელი ეთქვა. სტუდენტებთან რომ შევიღვარ, სულ ვამბობ, რომ ლიტერატურა არის შენი მომავალი ფსიქოლოგიური ტრავმების პრევენცია. ეს როლი ამ წიგნმა უკვე შეასრულა. ერთ ადამიანს თუ მაინც მოუტან შევბას, ალბათ, უნდა წერო, მაგრამ, პირველ რიგში, შენს თავს შევლი ამით. წიგნს კი გამოვეცემ თუ არა, ვერ გეტყვით.

აფხაზური კუთხე ღია სივრცე ეროვნულ ბიბლიოთეკაში



უკვე მე-5 წელია, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მესამე კორპუსში აფხაზური კუთხე განთავსებულია. აქ ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდში დაცული ლიტერატურა და პერიოდიკა გამოფენილია. ამ ინიციატივის მიზანი აფხაზური ენის, მწერლობის, კულტურისა და ისტორიის შესწავლა-კვლევის ხელშეწყობაა.

აფხაზური კუთხის გახსნის იდეა ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორს, ვიორჯი კეკელიძის კუთვნიებს. მისი აზრით, აფხაზური საქართველოს ორგანული ნაწილია, ამიტომაც ასეთი ტიპის კუთხის ეროვნულ ბიბლიოთეკაში არსებობა მნიშვნელოვანია.

ეროვნული ბიბლიოთეკის აფხაზურ კუთხეში წარმოდგენილია პირველი აფხაზურ-რუსული ლექსიკონი, რომლის დედასაც მე-19 საუკუნის 20-იანი წლებით თარიღდება და, როგორც იშვიათი გამოცემა, ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდში ინახება.

აფხაზური კუთხე ბიბლიოთეკაში სხვა ენების კუთხეებთან ერთად არსებობს, თუმცა, როგორც ვიორჯი კეკელიძე განმარტავს, იმ განსხვავებით, რომ „აფხაზური სხვა ენებთან არ არის. აფხაზური არის საქართველოს ნაწილი, უბრალოდ, ამ ხალხს საკუთარი კულტურა და ენა აქვს“. ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორისათვის აფხაზური კუთხის განსაკუთრებული იდეური დატვირთვა აქვს, რადგან ეს მხოლოდ კუთხე კი არა, ერთგვარად ღია ბიბლიოთეკაცაა.

ბატონო ვიორჯი, როგორ დაიბადა ეროვნული ბიბლიოთეკაში აფხაზური კუთხის გახსნის იდეა?

აფხაზური კუთხის იდეა, რეალურად, გულანისხობდა იმას, რომ აფხაზური ჩვენი ორგანული ნაწილია, აფხაზური ენა კი - საქართველოს სახელმწიფო ენა. შესაბამისად, ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ ასეთი ტიპის კუთხე გახსნილიყო ეროვნული ბიბლიოთეკის შემოსასვლელში. ეს კუთხე არ არის, ერთგვარად, ღია ბიბლიოთეკა უფროა და ნებისმიერ დროს შეგვიძლია, შევხატოთ ახალი გამოცემები.

იდეა 5 წლის წინ განხორციელდა. რა შედეგია ამ დროის განმავლობაში აფხაზური კუთხის?

აფხაზურ კუთხეს 2015 წლიდან დღემდე ბევრი რამ შეემატა, მათ შორის, შემოწირულობებიც. შესაბამისად, ყოველთვის მზად ვართ, რომ ამ თვალსაზრისით რაც შეიძლება, ბევრი მასალა მივიღოთ. ცხადია, არა მხოლოდ მხატვრული ლიტერატურა, არამედ ჟურნალ-გაზეთებიც საინტერესოა ჩვენთვის.

როგორ ფიქრობთ, რამდენად გამართლდა ის მიზანი, რომელსაც ამ კუთხის გახსნის ემსახურებოდა?

რაც შეეხება მიზანსა და მოლოდინებს, მე მგონია, რომ აფხაზურმა კუთხემ გაამართლა ჩანაფიქრი, რადგან ყველა სტუმრის ყურადღებას იქცევს. საბოლოო ჯამში, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეროვნული ბიბლიოთეკისათვის ამ ყველაფერს უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს.

ბატონო ვიორჯი, აფხაზური კულტურისა და ისტორიის კვლევის კუთხით თუ ითამაშა ისტორიის კუთხის გახსნამ?

კვლევის კუთხით, ჯერჯერობით - ნაკლებად. კვლევითი მიმართულებით ჯერ არ დაგვიწყია მუშაობა, თუმცა ახლო მომავალში ამასაც ვეგეგმავთ.

ვიორჯი კეკელიძის შეფასებით, კულტურას, რომელიც აფხაზური კუთხის ღია ბიბლიოთეკაშია წარმოდგენილი, ხალხი ქმნის. პროექტი გაეროს განვითარების პროგრამის ხელშეწყობით ხორციელდება. ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრულ კოლექციებში კი შესულია სპეციალური კოლექციაც, რომელიც აფხაზურთან დაკავშირებულ ფოტოებს მოიცავს.

ინიო ყვირიძე

ნენო ბაბელია: "ხიდრატეხილობის დაძლივისა და დეობის აღდგენის გარეშე კონფლიქტი ვერ მოგვარდება"

სალომა ბელინიშვილი

29 წლის ნენო გაბელია ახალგაზრდა ელჩია იტალიაში. მისი ცხოვრება აფხაზეთიდან, კერძოდ, გალიდან იწყება. მიუხედავად იმისა, რომ მშობლიური სახლის დატოვება ძალიან პატარას მოუწია, მისი ცხოვრების მიზანი მაინც ერთია, - გადმოცემა რეალობა აქციოს და აფხაზეთი ისევ საქართველოს ნაწილი გახდეს...

ნენო, რა შემორჩა თქვენს მემკვიდრეობას აფხაზეთიდან?

სამწუხაროდ, აფხაზეთი არ მახსოვს, 3 წლის ვიყავი, იქიდან რომ წამოვედი. თუმცა ჩემი მშობლების მონაყოლიდან კარგად ვიცი, რას ნიშნავს იქ ყოფნა. ამიტომ მთელი ჩემი ცხოვრება აფხაზეთთანაა დაკავშირებული - ვარ კონფლიქტოლოგი, ამაზე დავიკავი სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომები და ვმუშაობ კონფლიქტური რეგონების საკითხებზე. მაქვს აფხაზეთზე გამოცემული წიგნები, ვაწყო საქართველო-აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებულ სამუშაო შეხვედრებს, სემინარებს და ჩემი მთავარი მიზანი ზუსტად ესაა - ვემსახურო იმ კუთხეს, სადაც დავიბადე.

მოგიყვებით, როგორ აღმოჩნდით იტალიაში?

იტალიაში სასწავლებლად ჩამოვედი. ჯერ კიდევ თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის ბაკალავრიატის საფეხურზე ვსწავლობდი, როცა ევროკავშირის გაცვლითი პროგრამის - ერასმუს+ - შესახებ გავეცანი. მესამე კურსზე, ერთი წლის განმავლობაში, ბულგარეთში ვისწავლე. რის შემდეგაც ისევ თბილისში დავბრუნდი და დავასრულე უნივერსიტეტი. 2011 წელს, ერასმუსის კონკურსით რომში, და საბენცის უნივერსიტეტში, მაგისტრატურის საფეხურზე განვაგრძე სწავლა. ამის პარალელურად, უნივერსიტეტის ბოლო წელს მუშაობა დავიწყე რომში, ინგლისურენოვან კურსის სკოლაში, სადაც დირექტორ-ადმინისტრატორის პოზიციაზე ვიყავი, მეოთხე წელს კი გადავწყვიტე დოქტორანტურაზე ჩამებარებინა - მიხლოდა, ჩემი ცოდნა კონფლიქტებთან დაკავშირებით უფრო მეტად გამეღრმავებინა, რადგან ამ ფაკულტეტზე, აფხაზეთ-საქართველოს ურთიერთობასთან დაკავშირებით, ძალიან ცოტა ინფორმაცია მოეპოვებოდა. ამ მიზნის გამო, დავტოვე პროექტი, შევთავაზე უნივერსიტეტს და დოქტორანტურის დასრულების შემდეგ, ახალგაზრდა ელჩობასთან დაკავშირებულ კონკურსზე შევიტანე საბუთები.

დღეს რა მისიით ხართ იტალიაში და რა გზებით ახორციელებთ ამ მიზნებს?

დღეს საქართველოს ახალგაზრდა ელჩი ვარ იტალიაში. ეს საქართველოს საგარეო საქმეთა

სამინისტროს პროექტია, რომლის მეშვეობითაც ერთი წლით ორჯერ ახალგაზრდა ელჩი, რომელიც სწავლობს, ან მუშაობს საზღვარგარეთ ლეგალურად, როგორც ახალგაზრდა ელჩი, არანაირი ანაზღაურება არ მაქვს, თუმცა ბიუჯეტი 7000 ლარი მქონდა, რომლითაც შემიძლო სხვადასხვა პროექტის გახორციელება. გავაკეთე 12 სხვადასხვა პროექტი - სამეცნიერო კონფერენციები, გამოფენა, ქართული სამხარეულო ტესტეტ ოკუპაცია. ჩემი პროექტები ოკუპაციის სახით გამოირჩევა იმიტომ, რომ ჩემი წიგნიც და ფოტოგამოფენაც ოკუპაციას ეხება.

რა იციან იტალიაში აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებით და რა დამოკიდებულება აქვთ მასზე?

აქ, რა თქმა უნდა, კონფლიქტებზე ბევრ ინფორმაციას ვლობენ, მაგრამ რაც შეეხება სამხრეთ კავკასიის კონფლიქტებს, კერძოდ, აფხაზეთის, სამაჩაბლოსა და მთიანეთის კონფლიქტებს, დიდად არ იცნობენ, რადგან ამ მიმართულებით სამეცნიერო მასალაც ცოტაა. წიგნი, რომელიც მე და ჩემმა კოლეგამ, და საბენცის უნივერსიტეტის დაფინანსებითა და ხელშეწყობით გამოვეცი, აფხაზეთს ეხება და ის, დღესდღეობით, ძალიან ბევრი სასწავლო კურსის სილაბუსშია. რაც შეეხება იტალიელი ხალხის დამოკიდებულებას ქართველ-აფხაზური კონფლიქტისადმი, გულგრილები არ არიან, თუმცა ამ ქვეყანაში პრობლემა ისაა, რომ საზოგადოების დიდი ნაწილი რუსეთის მომხრეა. აქედან გამომდინარე, ხშირ შემთხვევებში, როცა გინდა პროექტის, ან, თუნდაც, გამოფენის გაკეთება, რომელიც რუსეთი ოკუპანტის კუთხით იქნება ნაწილები, შესაძლოა, კონკრეტულმა ინსტიტუტმა, უნივერსიტეტმა, ან საგამოფენო დარბაზმა უარი გითხრას...

ყოფილა შემთხვევა, როცა მითქვამს, რომ მე იძულებით გადაადგილებული პირი ვარ, მათი რატიკა კი იყო დაახლოებით ასეთი: „უი, მართლა არსებობენ ესეთები?“ ვფიქრობ, სანამ შენ არ შეგვხვება ასეთი კონფლიქტი, ვერ წარმოიდგენ, რას ნიშნავს, იყო იძულებით გადაადგილებული პირი. ამიტომ, მათ ეს არარეალურად ეჩვენებათ. მათსადაც, გულთან ახლოს მიაკეთ, მაგრამ, რა თქმა უნდა, იმ ექსციზის ვერ განიცდიან, რასაც შენ განიცდი...



როგორც ვიცით, თქვენ აფხაზეთთან კომუნიკაცია გაქვთ. როგორ დაიწყო ეს ყველაფერი?

ეს რამდენიმე წლის წინათ დაიწყო, როცა გაეროს ვედიტ ნატარეზულ, სტამბულის საზოგადოებრივ სკოლაში აღმოჩნდი. თქმა შეეხებოდა ადამიანის უფლებებს კონფლიქტურ სიტუაციებში და მასში მონაწილეობას ვიღებდით როგორც ქართველები, ისე აფხაზები და ეთნიკური ოსები. ვფიქრობ, საინტერესო პროექტი იყო, რადგან ომის შემდეგ მათთან უშუალო კონტაქტი არ მქონია. ეს იყო ძალიან სასიამოვნო ერთი კვირა ჩემს ცხოვრებაში, რომელიც არასდროს დამავიწყდება, რადგან ბევრ რაღაცაზე შემიძვევალა აზრი. რა თქმა უნდა, მტრებად აქამდეც არ აღვიქვამდი მათ, თუმცა ვერ წარმომედგინა, თუ ასეთ მცირე დროში შეიძლება, ისე შემიყვარებოდნენ, რომ მათთვის შეგობრებიც კი მეწველებინა. ახლა ერთმანეთს ხშირად ვწერთ, ვგზობრებით, ვუხიარებით ღონისძიებებს...

ჩემი აზრით, უფროსი თაობისაგან განსხვავებით ახალგაზრდებში ნაკლები აგრესიაა. დღეს ასე ჩანს, რომ აფხაზებს არც რუსეთი უნდათ და არც საქართველო. რაც შეეხება ჩვენსა და აფხაზებს შორის ურთიერთობას, ახალგაზრდა თაობას ეს სურს, თუმცა საქართველოს იურიდიული კვლევის მოქცევა არა ვფიქრობ, ამ ფონის შესაცვლელად ხელისუფლებამ უნდა იზრუნოს.

როგორც ვიცით, და საბენცის უნივერსიტეტის კონკურსში, სადაც 700-მდე დოქტორანტი და დოქტორი მონაწილეობდა, თქვენ 30 გამარჯვებულს შორის მოხვდით...

ეს კონკურსი და საბენცის უნივერსიტეტში არსებულმა ფონდმა გამოაცხადა მათთვის, ვინც სამი წლის განმავლობაში ამ უნივერსიტეტში დოქტორანტურაზე სწავლობდა, ან უნივერსიტეტი უკვე დამთავრებული მქონდა. მან ყველა ფაკულტეტი მოიცვა და მონაწილეთა შორის 30 საუკეთესო გამოვლინდა. ჩემი კვლევა შეეხებოდა სამხრეთ კავკასიის კონფლიქტებს და მათი მოგვარების და ევროინტეგრაციის გზების ძიებას.

„ეზო მახსოვს ჩვენი... და მანდარინები“ ინტერვიუ ირმა ხეყურიანთან

ირმა ხეყურიანი პარასპორტსმენია, რომელმაც 6 წლის წინათ დანიყო ფარიკაობა. ამ ექვსი წლის განმავლობაში მან მსოფლიო ჩემპიონის ტიტულიც მოიპოვა და მსოფლიო თასის თექვსმეტგზის მფლობელიც გახდა. ამბობს, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც პარაოლიმპიადებზე მიღწეული ნარმატებაა. ბევრს მუშაობს იმისთვის, რომ ნარმატებით იასპარეზოს თამაშებზე, რომელიც 2020 წელს ტოკიოში გაიმართება. ირმა აფხაზეთიდან. საკმაოდ პატარა იყო, როდესაც მშობლიური მხარის დატოვება მოუწია, თუმცა მაინც დიდი ემოციებით იხსენებს პერიოდს, რომელიც აფხაზეთში გაატარა. თუ როგორ შემორჩა მის მემკვიდრეებს აფხაზეთი, როგორ ნარმატობა მისი ოჯახის ცხოვრება სახლის დატოვების შემდეგ და რა ენატრება მშობლიური მხარიდან ყველაზე მეტად, ამაზე თავად ირმა ხეყურიანი გვიამბობს:

ინო ნულანი

ირმა, თქვენ აფხაზეთში დაიბადეთ, როგორ გახსენდებით იქ გატარებული წლები?

უზრუნველი, თბილი, ტკბილი იყო აფხაზეთში გატარებული ბავშვობის წლები და ეს ბუნება ცხოვრების ბოლომდე გამეყვანა. იქ ყველას ერთმანეთი უყვარდა და ყველა მზად იყო სხვას დახმარებოდა.

ბავშვობაში აფხაზეთში გვაქვდათ მეგობარი, ან თუნდაც ნაცნობი, რომელიც დღემდე არ დაგვიწყებია?

დღის წყალობით საკმაოდ ბლომად არიან ასეთი ადამიანები.

მეაგს სამი უახლოესი ადამიანი, რომელიც ბავშვობიდან, ჩემი სოფლიდან მომეყვანა.

როგორი იყო თქვენი სახლი აფხაზეთში? როგორ შემორჩა ის თქვენს მემკვიდრეებს?

ოჩამჩირის რაიონის სოფელ ცაგერაში ვცხოვრობდი, ქველა კუთხეში. ჩემი სახლი ბუნდობლად მახსოვს. თუმცა სულ ცდილობ, რაღაც დეტალები აღვიდგინო წარმოსახვაში. ეზო მახსოვს ჩვენი... და მანდარინები.

შეგიძლიათ გაიხსენოთ ის ეპიზოდი, როდესაც ოჯახთან ერთად აფხაზეთიდან მოდიოდით?

შეიძლება წლის ვიყავი, როცა იძულებული გახდებოდა, დაგვეტოვე

ბინა საცხოვრებელი სახლი და მხარე ვერ გეტყვით, რომ მძაფრი ემოციები მქონდა. ჯერ კარგად ვერ ვაცნობიერებდი, რა ხდებოდა. რომ წამოვიზარდე, რა თქმა უნდა, ბევრი შემამრწუნებელი და არაადამიანური სურათი დაიხატა მესხიერებაში. ჩვენ ოჩამჩირეში წავიყვანეს სატყვეობით მატარებელი, შემდეგ ერთი კვირა ვიცხოვრეთ გალიში, არანაყოფიერებელი ოჯახში და მერე უკვე წააღებოდა წამოვედი.

მას მერე ბევრი სირთულე გამოვიარეთ სრულ სიღარიბეს, შიმშილსა და სიცივეში. უამრავი დამცირება, გულსტკეცილი და იმედგაცრუება იყო. მერე მაშინდა წავიდა ემიგრაციაში და დღესაც წაიყვანა. ამან ცოტა

ამოგვასუნთქა და ისე ძალიან აღარ გირდა ცხოვრება...

ახლა გაქვთ რამე სახის კავშირი აფხაზეთთან?

მხოლოდ მოგონებები და ჩემი მგლობრები, რომლებიც აფხაზეთში ცხოვრების პერიოდს მომეყვებინა. თუმცა ახლა ისინიც თბილისში ცხოვრობენ.

როცა აფხაზეთზე საუბრობენ, რა გახსენდებით პირველად და კიდევ რა არის ის, რაც ყველაზე მეტად გენატრება?

პირველად ზღვა და სითბო მახსენდება. მონატრებით კი ჩემი ეზო მენატრება ყველაზე მეტად... ეზო და იქაური მანდარინები...

„ენბურის პირას იმედის ძაფებით აბურდული ნაძვები დბანან“

აფხაზეთის ამბებს სევდითა და სიყვარულით იგონებს, თუმცა იქაურობა დაკარგულად არამც და არამც არ მიაჩნია. სკოლის ბოლო წლებიდან დღემდე განუწყვეტლივ წერს, უმეტესად აფხაზეთზე. ამ პრობლემატიკას ეხება მისი პუბლიცისტური წერილების პირველი კრებული „წართმეული ხმები“, მოგონებების წიგნი - „ჩემი სახლი“, კრებულები - „გალაკტიონი, ზღვა და აფხაზეთი“, „აფხაზეთი სავიზიტო ბარათად“ და სხვ. ნათო კორსანტია სტუდენტობიდან მოყოლებული მუშაობს და იბეჭდება სხვადასხვა პერიოდულ გამოცემაში. 2005 წლიდან არის გამეთ „ჩემი აფხაზეთის“ რედაქტორი. „აფხაზეთის პრობლემატიკის მაღალპროფესიულ დონეზე გაშუქებისათვის“ მიღებული აქვს გიორგი შარვაშიძის სახელობის პრემია, არაერთი პრიზი და სიგელი.



„ბუღა ხარხი მიყო“

აფხაზეთს, იქ თავს გადამხდარ დაუვიწყარ ამბებს სინანულს გარეშე ვერასოდეს ვიგონებ. ჩემს სოფელს რეჩი პქია. გადმოცემის თანახმად, თამარ მეფე თავის ამაღლასთან ერთად აფხაზეთში მიმგზავდა თურმე, როდესაც, გზად ამ ადგილას ჩაუვლია და იმდენად მოსწონებია იქაური ბუნება, რომ უთქვამს, გულმა რეჩი მიყო. უკვე მოგვიანებით ამ გამოთქმას ხშირად გამოვიყენებ ჩემი სოფლის მოსახლეობისას.

ძალიან საინტერესო ბავშვობა მქონდა, ალბათ იმიტომაც, რომ ის ჩვენს არე-მარეში მიმდინარე სიახლეს - ენგურჰის მშენებლობას დაემთხვა. უნიკალურად აღიარებული ამ მშენებლობის გამო, ჩემი სოფელი ხელფურად დაგუბებულ გალის ტბაში ნახევარკუნძულივით მოექცა. სწორედ ამიტომაც სკოლა რამდენჯერმე შევიცვალე. მერვე კლასამდე სოფელ ცხირში ვსწავლობდი და მშობლებიც იქ მუშაობდნენ. ახლა უკვე ჩვენს სოფლებს შორის ტბა ჩაღვა და ისევე იქ რომ გვევლი, მოტორიანი ნავი შევიძინეთ. ერთხანს მთელი ოჯახი იმ ნავით დავდიოდით სკოლასა თუ სამსახურში. ზამთრობით ტბაზე ნისლი წვეებოდა და გზის გაკვლევა ჭირდა. ამის გამო მიმართულა რამდენჯერმე ავტოგზი და სხვა ნაპირს მივდგომივართ კიდევ. იმ დროს არ ვწერდი, თუმცა ეს უცნაური თავგადასავლები, ეტეობა, ჩემს გონებაში იღვქებოდა და გრძობებსა და განწყობებსაც მოქმედებდა. მეცხრე კლასში „ტბიდან ხმელეთზე“ გადაინაცვლე და სწავლა ენგურჰის დასახლება „ჩეღალის“ სკოლაში გადავტყველეთ.

კალამი

წერა მეცხრე კლასში დავიწყე. თავდაპირველად ვწერდი ჩანახატებს. ალბათ, როგორც ყველა, მეც მაღალ მატერიალსა და ფილოსოფიურ თემებს ვეჭიდებოდი. მათე კლასში დავწყე „დაბადების დღის ფილოსოფია“, რომლის ბოლოში ვამბობდი: „ცხოვრება ბრძოლაა, ესე იგი, სიკვდილისათვის იბრძვი... პირველი ლექსი მეც გაუმხელელმა სიყვარულმა დამაწერინა. მეგონა, ქვეყანა დაიქცეოდა, თუ ის გაიგებდა ამხე და ჩემს გრძობებს ქაღალდს ვანდობდი...“

ამ პერიოდისთვის ჩემს მშობლებს მიაჩნდათ, რომ ექიმი უნდა გამოვსულიყავი... შესაბამისად, ფიზიკასა და ქიმიას გაძლიერებულად ვსწავლობდი. ამ ასაკში ბავშვები, უმეტესად, მშობლების სურვილს ემორჩილებიან ხლმე, ჩემში კი აღმოჩნდა ძალი, ვფიქრობ, იქიდან გამომდინარე, რომ თავისუფლების წილში ვიზრდებოდი და კატეგორიულად განვაცხადებდი სწავლის გაგრძელება პურნალისტიკაზე მსურდა. მშობლები მირჩეობენ წინააღმდეგობის შემდეგ დამთანხმდნენ, რის გამოც გუმადლიერები მათ. ძალიან მიყვარს ჩემი პროფესია და ცხოვრებისეული სირთულეების არც ერთ ეტაპზე არ მინანია, რომ პურნალისტიკის ვარიანტი, ამ დროს შეგა ეყოფილთვის კალამს, სატექნიკის ქაღალდზე გადმოტანას მოჰქონდა...

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პურნალისტიკის განყოფილებაზე ჩავირიცხე. მაღე ის ფაკულტეტად გადაკეთდა. მე და ჩემს ჯგუფელებს ბედმა ძალიან გაავადინა - ჩვენი დეკანი ნოდარ ტაბიძე გახდა. ის პურნალისტიკის თეორიასა და პრაქტიკის შესახებ ლექციებს ვეციოხავდა. საერთოდაც, ბაკონმა ნოდარმა ჩემი და არაერთი სხვა თაობის სტუდენტების, რომლებმაც საქმიანობა ბეჭდურ მედიასში განაგრძეს, პურნალისტიკად ჩამოყალიბებაში, დიდი როლი ითამაშა. გარდა ამისა, ის გარესამყაროს მიმართ ჩვენს ხედვებსა და ემოციებს აფაქიზებდა. მე მას ერთ მისაღმი მიძღვნილ წერილში „წარწოში ვერნატეული პორტრეტი“ - ბედისწერასავით დამგზავრებული ადამიანი ვწულოვ. ჩვენი დეკანი გალაკტიონის მეტყიდრე იყო და განსაკუთრებით მეტყიფასე-

ბა, რომ მოგვიანებით ჩემს მიერ შედგენილ კრებულს „გალაკტიონი, ზღვა და აფხაზეთი“ კონსულტანტობა სწორედ მან გაუწია. წიგნი გალაკტიონის აფხაზეთთან ურთიერთობას ეხება. გალაკტიონი ქ. სოხუმში პირველად 1927 წელს ჩავიდა და მაშინათვე ძალიან ემშობლიურა და შეუყვარდა იქაურობა. სოხუმში სახლის აშენება გადაწყვიტა. 10 წელი აშენებდა სახლს, რაზეც წერდა, „ეს ოცნებაა ჩემი“ და რომელსაც „Вилла Галактиона - Вилла короля поетов“ უწოდა. სახლი როგორც იქნა, დაასრულა, მაგრამ შიგ ცხოვრება ვერ მოასწრო. გალაკტიონის აფხაზეთისადმი განსაკუთრებულ დამოკიდებულებას გამოხატავს სწორედ მისი შედგენილი „გამარჯობა, აფხაზეთო, შენი!“

ლაზიუნება

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ თბილისში დავრჩი საშუალო. შეიძლება ითქვას, უკვე ჩემი მკითხველი მყავდა, როდესაც მოულოდნელად გალში გადავწყვიტე წასვლა. 1989 წლის 9 აპრილის დამთავრებული მოვლენების შემდეგ გამიჩნდა განცდა, რომ უნდა წავსულიყავი იქ, სადაც უფრო საჭირო ვიყავი. ყველაზე მეტად კი ჩემს მშობლებს ვვირდებოდი და თუნდაც ყოველ თვე სტუმარივით ჩასვლა, საკმარისი არ იყო. გალში 1990 წელს გადავედი საშუალო. სწორედ ამას ვგულისხმობდი, როცა მოგვიანებით ვწერდი:

„ჩემი სახლი ჩემთვის მეგობარც იყო, დარღისა თუ სიხარულის მოზიარეც, რა თქმა უნდა, ნახევარდღელიც. იგი შეების კუნძულიც იყო ამ უზუგეშობის ქვეყანაში და მეჩვენებოდა, რომ ის შემთხვევით არ გარეყვლიყო მთების ტყეობაში მოქცეულ გალის ტბაში ნახევარკუნძულივით შეჭრილ სოფელში. და მხოლოდ მოგვიანებით, წლების შემდეგ მივხვდი, ჩემს სახლს, ჩემს ყველაზე ერთგულ მეგობარს უნდა დავბრუნებოდი. და... მე დავბრუნდი.“

ჯერ გაზეთ „გალის“ კორესპონდენტი ვიყავი, მერე განყოფილების გამგე. მაღე კი გაზეთ „სათანჯოს“ რედაქტორი ვავხდი. სათანჯო მთაა, რომელიც გალის ყველა სოფლიდან მონანს და იქაურებისთვის ერთგული ნიშნულივით არის: თუ მის თავზე დრუბლები მოქუნდებიან, იმ დღეს ავდარი იქნება თუ არაღა - ღარი.

ჩემი სახლში დაბრუნება უმძიმეს პერიოდს - პოლიტიკურ ვენებათაღელვათა გამაფრებასა და ქაოსს დაემთხვა. მაღე აფხაზეთში ომიც დაიწყო. ამ ორომტრიალში ცხადია, მეც აღმოვჩნდი. შეველა ჯერ კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ მშველელი არსადან ჩანდა...

აფხაზეთი...

მთელ ჩემს ცხოვრებას აფხაზეთი ბედისწერასავით გასდევს. თითქოს გაუმხელელად ფიცი დავდგო, აფხაზეთის ომის შემდეგ, უმეტესად, მასზე ვწერ. აფხაზეთის პრობლემაშიაღმი ერთგვარი მიჯაჭვულობა გამიჩნდა და თავს უფლებას არც ვაძლევ, მისგან შორს წავიდე.

უკვე გაცვეთილი თემაა, რომ აფხაზეთის ომის უკან მესამე ძალიან მოსხენიებული რუსეთი იდგა. მან ქართველებსა და აფხაზებს შორის ჩამოავდო განხეთქილება, რომელიც თანდათან ომში გადაიხარდა. თუმცა ისიც არაა გამართლებული, რომ ყოველთვის ყველაფერი მხოლოდ მესამე ძალას დავა-

ბრალთ. უნდა ვთქვათ, რომ ქართველებმა და აფხაზებმაც ვერ ვიფხიზლეთ, გონიერება ვერ გამოვიჩინეთ და ორივემ წავაგეთ ომი... ომში რეალურად რუსეთმა გაიმარჯვა.

„წლების წინათ „ღიღის გაზეთში“ მუშაობისას ერთი წერილი გამოვაქვეყნე სათაურით - „ქართველებთან მოგებულ ომს რუსი ახლა აფხაზებსაც უგებს.“ დრომ ეს აზრი თანდათან უფრო გაამყარა და დღევანდელდობას შეუსაბამა. შესაძლოა, ეს პროცესი უკვე დასრულებულიცაა, მაგრამ აუცილებელია, აფხაზებმაც ამ კუთხით შეხედონ სინამდვილეს. იქნებ, ბევრი ასე უყურებს კიდევ, თუმცა ახლა უკვე ძალიან რთულია, შექმნილი რეალობიდან თავის დაღწევა.“

მძიმედ მახსოვს 30 სექტემბერი, დღე, როდესაც აფხაზეთი დავტოვე. ხიღს მომწვედარი დეენილებს კოლონას ბოლო არ უჩანდა. ჩვენ ამ კოლონაში მარცხენა მხრიდან უნდა შეგვეღწია, მაგრამ გადარჩენის ინსტინქტი შეკერობილი ადამიანებიდან, აბა, რომელი დაგიმთობდა ადვილს? მსგავსი რამ აღრე, ფიქრებში თუ მენახა... მოდიოდნენ „პირთამდე გამოტენილი მსუბუქი მანქანები, ავტობუსები, სატვირთოები, ამწეები, ურმები, ურიკები, საბავშვო ეტლები, ცხენები... ტანკები... ერთმანეთს ცხვირით მიყრდნობდნენ ისე, რომ ვერ ინძრებოდნენ, ვერ სუნთქავდნენ. შეუძლებელი ხდებოდა ასიათასიანი რაიონის ერთ დღეში დაცლა...“

ძალიან რთულია, მთელი ცხოვრება მხოლოდ მოგონებებით იცხოვრო. ბევრ დეენილს დღემდე ყველაფერი საუკეთესო მხოლოდ წარსულზე ეგულება. მე პირადად ნოსტალგიის დაძლევაში ძალიან მუხმარება ის ფაქტი, რომ წელიწადში ერთხელ მაინც ვახერხებ იქ „დაბრუნებას“. იმ მიწაზე დაბიჯებისას, თითქოს რაღაც საზრდოს ვიღებ, რომელიც სხვაგან არსადაა და ეს მთელი წლის განმავლობაში მყოფნის... ძალიან თანაუგრძნობ იმ ადამიანებს, რომლებსაც აფხაზეთიდან გამოსვლის შემდეგ იქ ფეხი არ დაუდგამთ...

„წაჩთაქული ხეები“

ჩემი პირველი პუბლიცისტური წერილების კრებულს პქია და ენგურს გადმა დარჩენილი ქართველების უმძიმესი ცხოვრების ამსახველ რეპორტაჟებსა თუ წერილებს აერთიანებს. ერთმა ახლობელმა მითხრა, ვიდაცას საარყვერო ხმები ვგონებ და წიგნს სხვა რამე დაარქვითი, მაგრამ არ დავუჯერე. წიგნს ეპიგრაფად ერთგვად სტრიქონები სიმონ ჩიქოვანის პოემიდან „სიმღერა დავით გურამიშვილზე“: „შინ დაბრუნდი, დაბუგული შენ სახლ-კარი დაგხვდა, დიდილო, არც ბუღბუღი, არც გუგული, დილით როგორ გაიღვიძო? მაინც შეძლებს კაცი აღსდგეს, სახლ-კარისთვის ქვები ზიღოს, მაგრამ ხმები თუ წართვეს, სმენა როგორ დაიმშვიდოს!“ და მე სწორედ ანალოგიურად „ხმებწართმეულ“ ადამიანებს ვგულისხმობდი.

წიგნის შესავალში ცნობილი პუბლიცისტი თემურ მეტრეველი წერდა: „ამ წიგნში გაერთიანებული წერილები, სულისშემკრერი პაწაწინა ნოველები და ჩანახატები... თვალუწვდენელ თოვლიან მინდორზე თავმოყრილ შაოსნებს გვანან, დარღისგან ლამის ცრემლი რომ უშრებათ თვალში.“

და მაინც, მიდიან, და მაინც, ჯიუტად მიიკვლევნ გზას, რომელიც არ ჩანს, მაგრამ მაინც არის...“

„აფხაზეთი სავიზიტო ბარათად“

პროექტს, რომლის ფარგლებშიც ეს წიგნი შეიქმნა, პქია „სანფორმაციო ბანკის შექმნა აფხაზეთიდან ლტოლვილი საზღვარგარეთ მცხოვრები წარმატებული ახალგაზრდების შესახებ“. ეს იდეა დიდი ხნის წინათ გამიჩნდა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს პროექტის ფარგლებში განვახორციელეთ. საერთოდაც, დღეს აქტუალური პრობლემა ქვეყნიდან ინტელექტუალური ძალის გაღინება. ქვეყნიდან გაკრეფილი ახალგაზრდების ზუსტი სტატისტიკა არ არსებობს. მე რაღაც მსგავსის გაკეთება აფხაზეთიდან ლტოლვილ ახალგაზრდებზე გადავწყვიტე. ახალგაზრდებზე, რომელთაც ომმა ბავშვობაშივე მოუსწრო. გაჭირვებაში გასაკლდეველებმა სხვაანაირად შეძლეს თავიანთი ძალების კონცენტრირება. წიგნში შესულია დემნა გვასალიას, ანდრო ვეკუას, რუსკა ყორყოლიანის, ნათია თოდუას, ძმები ლაცუზბაიების და სულ 34 ადამიანის ამბავი. მათგან ბევრი ამბობს, რომ როცა აფხაზეთი დაბრუნდება, ყველაანაირად შეეცდება, ამ მხარის განვითარებას შეეწიოს.

ვფიქრობ, რომ ამ თაობის ხმა ქვეყანაში უფრო ხმამაღლა უნდა იხმოდეს და სწორედ ისინი მონაწილეობდნენ ჩვენი ქვეყნის მშენებლობაში.

„მაქლაქუნეზიპით“

ათასმა ქარმა თუ ქარიშხალმა გადაიარა ჩემი და ჩემი სახლის თავზე. კარვა ხანია, აღარ არიან ჩემი სახლის შეუცვლელი მეციხოვნენი - ჩემი დღე-ღამე. მათი გარდაცვალების შემდეგ ერთხანს სახლის კუთხე-კუჩქულში თითქოს კიდევ იყო შემორჩენილი მათი სიბო და ეს იქ ყოფნას მიაღვივებდა...

„მოგვიანებით გაეია ზრე, რომ სამშობლო მარტოოდენ ლამაზი მთა-ბარი და ველ-მინდვრები როდია, სამშობლო ის საზოგადოებაცაა, რომელიც იქ ცხოვრობს. ამ საზოგადოების გარეშე იქაურობა ცარიელდება და უწინდელ ელფერს კარგავს.“

იგივე ითქმის სახლზეც, როდესაც იქ არავინ ცხოვრობს, იქაურობას არავინ ავსებს ამბებით, სუღიერებით, ის ნელ-ნელა ცვიდება და უცხოვდება. იქ მეუღლესთან ერთად ბოლო სტუმრობისას დამით ხმაურმა გამოგვაღვიძა. ჭერზე თუ სახურავზე რაღაცები დარბოდნენ, სავარაუდოდ, დამურები ან თავგები, მაგრამ ეს მერე ვიფიქრეთ, მაშინ კი ძალიან დავფრთხით. როგორც ჩანს, მარტო დარჩენილი სახლი თავის ხმებს თუ სიჩუქეს წარმოშობს, თავისი სული უსახლდება, ან სულაც რაღაცები თუ ვიღაცები ეპატრონებიან მას. ჩვენ მათ იმ დამეს დავარქვით „მაჯლაქუნები“, რომელთაც სახლი ვერც მორე და ვერც მესამე დამეს წავართვით... მას მერე იქ დამე არ გაგვიოთენებია, ჩემს დასთან - მედიკოსთან ვათევედი.

მე კვლავაც ყოველ ზაფხულს ჩავდივარ სახლში, იქაურობას ვაღაგებ, ვაწერებ და ისევე თბილისში ვბრუნდები... ასე გრძელდება ზაფხულიან ზაფხულამდე და ამ დროს თითქოს ჩემი სახლი ემსგავსება რომელიღაც ფილმის იმ „პერსონაჟს“, რომლის როლსაც ბოლომდე ვერაფრით იხსენებ.

სოხუმის შუქურა

ნათო კორსანთია



სოხუმის შუქურა ფრანგული წარმოებისაა, ის 1861 წელს პარიზში ცნობილი ინჟინერის ერნესტ გუენის ფირმაში დამზადდა. მოგვიანებით ამ ფირმამ შექმნა ეიფელის კოშკი და დღეს ერნესტ გუენის სახელი ამ კოშკზე საპატიო 72 სახელს შორისაა ამოტვიფრული.

კონსტრუქცია სოხუმში 1861 წელს ჩამოიტანეს, მის აწეობას 150 დღე დასჭირდა და ექსპლუატაციაში 1864 წლის 14 აპრილიდან შევიდა. სოხუმის შუქურას სიმაღლე 37 მეტრია. მისი შიდა დასველები კიბე 137 საფეხურისგან შედგება და იმ სიმაღლიდან სოხუმისა და მისი მიმდებარე ტერიტორიების ულამაზესი ხედი იშლება. ამიტომაც თავის დროზე ის ქ. სოხუმის ერთ-ერთ ღირსშესანიშნაობად მიიჩნეოდა და აქ ქალაქის სტუმრები მოჰყავდათ ხოლმე.

მაგრამ დრომ თავისი გაიტანა და სოხუმის შუქურას პოეტური პერიოდი წარსულში დარჩა. რეალობის შესატყვისად, ამჟამად ის ტექნიკურად გაუმართავია და მის კიბეზე ასვლა ძალიან საშიშია. შუქურას ლითონის კოშკის ზედაპირს საღებავი გადასვლია და კანგი მოსდებია. მას დიდი ხანია რეკონსტრუქცია არ ჩატარებია და ტურისტული ღირსშესანიშნაობის მისიას ვერ ასრულებს. ის ახლა მხოლოდ აფხაზეთის პიდროლოგიური ინსტიტუტის ბალანსს ამდიდრებს.

ერთი სიტყვით, ერნესტ გუენის საოცარი საინჟინრო ნაგებობა სასწრაფო რემონტს საჭიროებს.

აქვე უნდა ვთქვათ, რომ სოხუმის შუქურას აქვს თავისი ისტორია, რომელმაც ჩვენამდე ზეპირი გადმოცემებითა თუ წერილობითი დოკუმენტებით მოაღწია. ამ ისტორიაზე ახლა უკვე ინტერნეტსივრცეშიც შეიძლება მთიპოვო რუსულენოვანი ინფორმაცია, მათ შორის ეს ეპიზოდები:



სოხუმის შუქურა, ლითონის კონსტრუქციის კოშკი, სანავიგაციო ნაგებობაა და ის სოხუმის სანაპიროზე, გუმისთის კონცხზეა განთავსებული. სწორედ აქედან ეწოდა მის ირგვლივ მდებარე დასახლებას „მაიაკი“.

ახლანდელ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ სოხუმის შუქურას საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი მიანიჭა.

ის საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში სოხუმის ყურის სიახლოვეს მცურავი გემებისათვის გზის მარჯვენაზე და ორიენტირის იყო. მისი ლამფის სინათლე 30 კილომეტრზე ვრცელდებოდა და შეიძლება ითქვას, რომ თითქმის ჰორიზონტამდე აღწევდა.

თავდაპირველად შუქურაზე ზეთის ნათურა დაამონტაჟეს. თუმცა ძლიერი ქარის დროს შუქურა ქანობდა და ლამფიდან ზეთი იღვრებოდა. რევეის შესანერგვად გამოიყენეს სპეციალური ჯაჭვები, რომლებიც შუქურას ახლაც გარს აკრავს. ზეთის ლამფა თანდათან ჯერ აცვრილენის ლამფამ, შემდეგ კი ელექტრონათურამ ჩაანაცვლა.

1877 წელს რუსეთ-თურქეთის ომის დროს, როცა დამარცხებული თურქეთის ჯარები სოხუმს ტოვებდნენ, მათ შუქურას წაქცევა სცადეს და ჯაჭვებით სიმაღლეში მიაბეს, მაგრამ ეს ვერ შეძლეს. მაშინ მათ ტრაფვის სახით თან წაიღეს შუქურას ლამფა.

საუკუნუნახევრიანი ისტორიის განმავლობაში სოხუმის შუქურას ერთი ლეგენდაც დაუკავშირდა:

„1901 წელს, ზაფხულის არდადეგაზე სოხუმში ყოფნისას ვლადიმერ მაიაკოვსკმა სოხუმის შუქურა მოინახულა. იგი იმდენად აღფრთოვანდა შუქურით, რომ სწორედ სიტყვა „მაიაკიდან“ (შუქურა) - მიიღო ფსევდონიმი - მაიაკოვსკი“- იუწყება უცნობი ავტორის ჩანაწერი უძველეს ოქმებზე, რომელიც აფხაზეთის პიდროლოგიური ინსტიტუტის არქივში ინახება. ავტორმა ალბათ არ იცოდა, რომ რუსი პოეტის ნამდვილი გვარი მაიაკოვსკი იყო და ის ქუთაისის რაიონის სოფელ ბადაღში, მეტყვევ ელადიმერ მაიაკოვსკის ოჯახში დაიბადა.

მიუხედავად ამისა, ამ ლეგენდას რეალური საფუძველი ჰქონია. მაიაკოვსკი ნამდვილად ყოფილა სოხუმში და შუქურას კოშკზეც ასულა. ნაგებობას მასზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია. მოგვიანებით ბავშვებისათვის მიღწეული წიგნისთვის კი მიუწერია: „ჩემი ეს წიგნი ზღვაზე და შუქურაზეა“-ო. ამასთან დაკავშირებით პოეტ ალექსანდრე მაიაკოვსკის დედა თავის მოგონებაში აღნიშნავს:

„ჩვენ მატარებლით ჩავედით ბათუმში, იქიდან კი გემით სოხუმში წავედით. ამ მოგზაურობით ყველანი ძალიან კმაყოფილები დავრჩით, მაგრამ მან განსაკუთრებული შთაბეჭდილება ცნობისმოყვარე ვალდიჩაზე მოახდინა. მას მეზღვაურის ფორმა ეცვა, ალტაცებული ელაპარაკებოდა მეზღვაურებს, კაპიტანს, მეზღვაურებს, გემბანზე დარბოდა, უნდოდა ყველაფრის დათვალიერება მოესწრო“.

ის ასევე წერდა, რომ მაშინ შეილთან ერთად სოხუმში დაათვალიერა მრავალი ღირსშესანიშნაობა, რომელთაგან განსაკუთრებით შუქურა დაამახსოვრდა.

„ვალდიჩა ძალიან დაინტერესდა შუქურით. მას აუხსნეს მისი სტრუქტურა და დანიშნულება: ის შორს ანათებს და მეზღვაურებს გზას უჩვენებს. თვითონაც

ხომ ბავშვობიდანვე ოცნებობდა, ეცხოვრა ისე, რომ თავისი საქმეებით ხალხისთვის ნათელი მომავლისაკენ გზა გაენათებინა“, - დასძენს პოეტის დედა თავის მოგონებაში.

„დღეს მაღალი ტექნოლოგიების ეპოქაში, როდესაც ყველა თანამედროვე გემი ალტურვილია სატელიტური ნავიგაციით, სოხუმის შუქურა მაინც საუშუალოზე დგას, მაგრამ უკვე ავტომატურ რეჟიმში, მზის ენერგიით დამუშავებული ბატარეებით ალტურვილი“- წერია ერთგან...“

იღუმალებით მოცული საზღვაო შუქურები ბავშვობიდანვე განსაკუთრებულად მაინტერესებდა. ალბათ ამიტომაც შეეადარე მოგვიანებით ჩემი სახლი მას:

„ჩემი სახლი თბილისში ყოფნისას თუ თბილისამდე გაბმულ გრძელ გზაზე გაწვილებულ ოცნებებს იფარავდა და გაწვილებების შემდეგაც ცდილობდა მათ გამოხატობას. ის ჰგავდა ზღვის პირას აღმართულ შუქურას, რომელიც ნებისმიერი მანძილიდან მკაფიოდ მოჩანდა და მშველდა, რომ ამ რთულ, მართლაც წუთის სოფელში „ჩემს სულს გზა არ აბნეოდა“- ყველაფრის მიუხედავად, დღემდე ასეა“.

და ყველაფრის მიუხედავად, აფხაზეთიდან დევნილთა უმეტესობისთვისაც, სოხუმი იმ შუქურასავითაა, რომელიც „ნებისმიერი მანძილიდან“ მკაფიოდ მოჩანს... მისთვის საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭებამ კი ეს მანძილი თითქმის კიდევ ცოტათი შეამცირა...“



ნიმო წულაიას ბლოგი

ყველაზე ახლო და შორი სოხუმი

ზღვის სუნი და თოლიების ხმა მოაქვს ქარს. მოაქვს და მერე ისევ ზღვისკენ აბრუნებს. უცნაურად ბუნდოვანია ყველაფერი, არადა - ისეთი მშობლიური...
* * *

მე და მამა სოხუმში თავისუფლების პროსექტს მიუყვებით.

მშვიდი, მზიანი დღეა. კაფე „ამრაში“ გადავწყვიტეთ წასვლა, მის სამ კურსელთან, ჩანბასთან, გვასალაისთან და შამბასთან ერთად. დავსვდებით და ყავას დავლევთ. მამასგან გვარებით ვიცნობ მის კურსელებს - ჩვევად გვაქვს კლასელებისა და კურსელების გვარებით მოხსენიება...
* * *

სანაპიროზე ზღვის სუნი მძაფრდება. „ამრას“ გუხხლოვდებით. ჩანბა და შამბა უკვე კაფესთან დგანან და გველოდებიან მე, მამას და გვასალაისს. მალე ყველანი ადგილზე ვართ, ვზივარ აფხაზ და ქართველ ძმაცკვებს შორის და ვუსმენ. ხან ქართულად საუბრობენ, ხან - მეგრულად, ხანაც - აფხაზურად... სტუდენტობას იგონებენ, ერთმანეთს ძმებს ეძახიან, ყავას სვამენ, გულიანად იცინიან ძველ ისტორიებზე...
* * *

თითქმის დაბნეულა. ჩანბა და შამბა გვემშვიდობებიან, მეგობრის, იფანის დაბადების დღეზე მივდივართო გვეუბნებიან, მპირდებიან, რომ თავიანთ შვილებს მალე გამაცნობენ და სანაპიროს მიუყვებიან. ცოტა ხანს ჩუმად ვართ. მერე მამა დგება, კიდევ რამდენი გექნებაო სალაპარაკო, დანანებით ამბობს თავისთვის და ჩვენც ვტოვებთ „ამრას“. ქუჩაში გამოვივართ, გვასალაისს ვემშვიდობებით და სახლისკენ, ეშპას 54-ისკენ მივდივართ. ქარამ საიდანაც ზღვის სუნში არეული ჩებურეკისა და ქვიშაზე მოხარშული ყავის სუნიც მოიტანა...
* * *

თეთრკედლებიანი სახლი იდგაო ეშპას 54-ში, ისენებს მამა. ბოლოს ქალაქიდან გამოვიდოდი და იმ ადგილს თვალი ვერ გავესწორე, უკანმოუხედავად გამოვექცეოდი, დასძენს გაზარდული ხმით. და იწყება საუბარი სოხუმზე, ოჩამჩირეზე, გუდაუთაზე, იქაურ დღეებზე, სადამოებზე, იმაზე, რომ აფხაზეთში ცაც კი სხვანაირია. ცვდილობ, წარმოვიდგინო ის ყველაფერი, რაზეც ნაწვევებ-ნაწვევებ, ცრემლებ-შეპარები ხმით საუბრობენ ხოლმე ჩვენზე ადამიანები, რომლებიც იქაურ მისამართებს იმეორებენ... რომ დაბრუნდებიან, უნდა მიადგნენ იმ ადგილებს, რომლებსაც ესენი ახსოვთ, ადგილებს, რომლებიც არასოდეს დავიწყებიათ... საკუთარ სახლებს უნდა დაუბრუნდნენ.

სმირად ვფიქრობ, შეიძლება დატოვო სახლი და მოინდო, გადაიტანო, მაგრამ, როცა ძმასთან ნახუბარი ტოვებ სახლს, რთულია სიმშვიდის პოვნა. სახლი მხოლოდ კედლები როდია, სახლი ხეებია, რომელსაც ეწვევი, გზებია, რომელსაც ყოველდღე გადიხარ და, რაც მთავარია, ადამიანებია, რომლებიც გიყვარს...
* * *

ისინი, ვისაც ეს ყველაფერი არ დაუკარგავთ, ვერ იტანობენ, რას ნიშნავს ჭიშკრის გაღების მონატრებული ხმა რომ ჩაესმით ძილში ადამიანებს; ყველა ახალ ნაცნობში რომ ეძებენ იმ ძველ ახლობლებს, რომლებსაც ძმებს უწოდებდნენ; თავს დაკარგულად რომ გრძობენ და თავიანთ მისამართს წლებიც შემდეგაც არ ივიწყებენ, არ ივიწყებენ, რომ სადღაც არის მათი სახლი, მათი ქუჩა - ძვირფასი ადამიანებით სავსე ქუჩა...
* * *

ჩებურეკისა და ქვიშაზე მოხარშული ყავის სუნი ნელ-ნელა გაიფანტა. „ამრადან“ სახლში ვბრუნდებით მე და მამა. ვიცი, რაზეც ფიქრობს, უფრო სწორად, დარდობს... დარდობს, რომ ბევრი რამის თქმა ვერ მოასწრო ჩანბასთვის და შამბასთვის და არ იცის, კიდევ როდის შეხვდება. სახლისკენ მიმავალი გვასალაიც ამის ფიქრშია, ალბათ. მე კი ცვდილობ, მივხვდეთ, როდის დადგება ის „მალე“, როდესაც ჩანბა და შამბა თავიანთ შვილებს გამაცნობენ. ჩვენ მამების მეგობრობის ისტორია უნდა გაავარძელოთ.

თოლიების ხმა და ზღვის სუნი სადღაც შორს მოაქვს ქარს, მოაქვს და ალბათ მერე ისევ მოიტანს. ძილ-ბურანიდან ნელ-ნელა გამოდიხარ, იღვიძებ და ხელები, რომ ეს ჯერ ოცნებაა, მამების მიერ შენში ჩაღებული მარცვალი იმ მონატრებისა, რომელიც უნახავ ქალაქს მოაქვს...
* * *

შორია სოხუმი, შორი, მაგრამ თან ისე ახლო, რომ თავის დახუტვა კმარა მის ქუჩებში აღმოსაჩენად...
* * *

რედაქტორი
ნათო კორსანთია

სტუდენტური ჯგუფის ხელმძღვანელი:
ასოცირებული პროფესორი მანია ტორაძე

ნომრის რედაქტორი
ილია მეგრელიძე

თექნიკური რედაქტორი
ლიანა მარქარიანი

მისამართი: ქ. თბილისი, დ. უხანძის 68
ტელეფონი: 577 09 22 42

რედაქცია

ნომერზე მუშაობდნენ ივანე ჯავახიშვილის
სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის სოციალური და
პოლიტიკური მეცნიერებათა ფაკულტეტის
ჟურნალისტიკისა და მასობრივი
კომუნიკაციის მიმართულაბის სტუდენტები

ჟურნალისტები
სალომე მელიქიშვილი
თამუნა ზარანდია
ნატალია შატარკაცაშვილი
ანი დეკანოზიძე
ელენე ზაქაშვილი
სალომე შაპავა
ნიმო წყოიძე
ნიმო წულაია
ნანუკა ქაჩიაბაია
ნათო ობოლაძე
ანა ცუცქერიძე

პირველი გვერდის ფოტო:
ანდი შვიში/Andy Schwets